



USAID
ამერიკელი ხალხისგან

THE USAID ECONOMIC
SECURITY PROGRAM

პოლიტიკის ნარკვევი

გაზიარებული ინტელექტუალური სერვისები

წინამდებარე პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დახმარებით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭრით. პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

შინაარსი

1. შესავალი	1
2. მეთოდოლოგია	2
2.1. სამაგიდე კვლევა	2
2.2. საველე კვლევა	2
2.3. კონსულტაციები სამუშაო ჯგუფში	3
3. საქართველოში გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორის მიმოხილვა	4
3.1. საქართველოში ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის (BPO) მიმოხილვა	4
3.2. საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის მიმოხილვა	7
4. პოლიტიკის გამოწვევები: დაინტერესებული მხარეების პერსპექტივები	16
4.1. კერძო სექტორის ხედვა	16
4.2. მთავრობის პერსპექტივა	26
4.3. დონორთა ხედვა	29
5. შერჩეული გამოწვევების ჩამონათვალი	31
5.1. ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის სექტორში არსებული შერჩეული გამოწვევების ჩამონათვალი	31
5.2. შერჩეული გამოწვევების ჩამონათვალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში	31
5.3. შერჩეული გამოწვევების ჩამონათვალი ელექტრონული კომერციის სფეროში	32
5.4. სამუშაო ჯგუფში გამართული კონსულტაციების დროს შერჩეული გამოწვევები	32
6. რეკომენდაციები	33
დანართი 1: ჩატარებული ინტერვიუების სია	46
დანართი 2: სამუშაო ჯგუფის წევრების სია	47
დანართი 3: სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ თითოეულ სექტორში არსებული გამოწვევების შეფასება	49

დიაგრამები

დიაგრამა 3.1 15 წლის და უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფში ინტერნეტის იმ მომხმარებელთა წილი, რომლებმაც შეიძინეს ან შეუკვეთეს საქონელი ან მომსახურება ინტერნეტით ბოლო 12 თვის განმავლობაში. (2020).....	11
დიაგრამა 3.2 საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორის კომპანიების შემოსავალი და შემოსავლების ზრდის წლიური ტემპი საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში.....	12
დიაგრამა 3.3 დასაქმება IT-ის კომპანიებში და დასაქმების ზრდის წლიური მაჩვენებელი IT-ის სექტორში.....	13
დიაგრამა 3.4 საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რაოდენობა და ამ სექტორში ქალ და მამაკაც კურსდამთავრებულთა რაოდენობა მამაკაც და ქალ კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობასთან შეფარდება.....	14
დიაგრამა 3.5 საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რაოდენობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მამრობითი და მდედრობითი სქესის კურსდამთავრებულთა წილი მამაკაც და ქალ კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობაში.....	15

ცხრილები

ცხრილი 2.1 სიღრმისეული ინტერვიუების განაწილება დაინტერესებული მხარეების მიხედვით.....	3
ცხრილი 2.2 ჯგუფების წევრების განაწილება დაინტერესებული მხარეების მიხედვით.....	3
ცხრილი 3.1 ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგისა და ერთიანი მომსახურების ცენტრების შექმნასთან დაკავშირებული გადამწყვეტი ფაქტორები და მათი კომპონენტები	4

I. შესავალი

საქართველოს გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორის პოლიტიკის ნარკვევი შემუშავდა პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის მიერ (PMCG) USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში. პოლიტიკის ნარკვევის მიზანია, სექტორში არსებული ძირითადი ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევების გამოვლენა და კერძო და საჯარო სექტორებს შორის, აგრეთვე, სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკური წარმომადგენლების ფართო სპექტრს შორის დიალოგის ხელშეწყობა.

პოლიტიკის ნარკვევის სტრუქტურა შემდეგნაირია: პირველ რიგში, ნარკვევი მიმოიხილავს საქართველოს ეკონომიკაში გაზიარებული ინტელექტუალური მომსახურების სექტორის მდგომარეობას.

მეორე, იგი აანალიზებს ამ სექტორში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის კერძო სექტორის, მთავრობის, დონორი ორგანიზაციებისა და ბიზნეს ასოციაციების/გაერთიანებების მიერ დანახულ საქართველოში არსებულ პოლიტიკის გამოწვევებს და მიმოიხილავს საქართველოს მთავრობის რეაგირებას სექტორში არსებულ გამოწვევებზე.

მესამე, დოკუმენტი განიხილავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, მთავრობის, კერძო სექტორის, ბიზნეს ასოციაციების/კლასტერებისა და დონორი ორგანიზაციების პოზიციიდან დანახულ კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენას გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორზე საქართველოში.

დოკუმენტის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია საქართველოში გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორში არსებული გამოწვევების გადასაჭრელად შემუშავებული რეკომენდაციები.

2. მეთოდოლოგია

ამ დოკუმენტში გაანალიზებული გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორი მოიცავს USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამისა და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ (Enterprise Georgia) მიერ პრიორიტეტულად მიჩნეულ ქვესექტორებს:

- ბიზნეს პროცესების აუტსორსინგი (Business Process Outsourcing-BPO) - უცხოენოვანი სატელეფონო ცენტრები, საოპერაციო განყოფილებების პროცესები (ფინანსები, ადამიანური რესურსების მართვა), არქიტექტურა და დიზაინი;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT);
- ელექტრონული კომერცია.

კვლევის მიმდინარეობისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- სამაგიდე კვლევა (შესაბამისი სტატისტიკის, კვლევების და ა.შ. ანალიზი);
- საველე კვლევა (სიღრმისეული ინტერვიუები).

2.1. სამაგიდე კვლევა

საქართველოში გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორის მიმოხილვის მიზნით, პირველ ეტაპზე სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან (საქსტატი) და საქართველოს ეროვნული ბანკიდან მოპოვებული იქნა მეორადი მონაცემები. ასევე გაანალიზდა არსებული კვლევები და ანგარიშები.

2.2. საველე კვლევა

სამაგიდე კვლევას მოჰყვა საველე სამუშაოები, რომელიც მოიცავდა სიღრმისეულ ინტერვიუებს გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორში ჩართულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

კვლევის ჩატარების პროცესში განხორციელდა გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება (რუკაზე ასახვა). აღნიშნული ინიციატივა მოიცავდა შემდეგ ნაბიჯებს:

- კონსულტაციებს USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის გუნდთან, კერძო სექტორის ძირითადი დაინტერესებული მხარეების (სექტორის ლიდერები, ბიზნეს ასოციაციები/გაერთიანებები და ა.შ.), შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და დონორების გამოსავლენად;
- სამაგიდე კვლევებს გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორში მომუშავე სამთავრობო და დონორი სააგენტოების დასადგენად;
- PMCG ჯგუფის მხარდაჭერითა და PPD პროექტებში ამ ჯგუფის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაბამისი დაინტერესებული მხარეების - კერძო სექტორის, მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების იდენტიფიცირებას.

დაინტერესებული მხარეების რუკის შედგენის დასრულების შემდეგ, 2020 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები გაზიარებული ინტელექტუალური

სერვისების სექტორის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, კერძო სექტორის (კომპანიები და ასოციაციები), და მთავრობის წარმომადგენლებთან, აგრეთვე, დონორებთან.

ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კითხვარი, რომელიც მოიცავს შემდეგ თემებს:

- გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორში ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები;
- COVID-19- ის გავლენა გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორზე.

სულ ჩატარდა 19 ინტერვიუ (დეტალური ინფორმაცია მოცემულია პირველ დანართში).

ცხრილი 2.1 სიღრმისეული ინტერვიუების განაწილება დაინტერესებული მხარეების მიხედვით

	დაინტერესებული მხარე	ინტერვიუების რაოდენობა
1	კერძო სექტორი (კომპანიები და ასოციაციები)	13
2	მთავრობა	4
3	დონორი	2

2.3. კონსულტაციები სამუშაო ჯგუფში

პროექტის მეთოდოლოგიის თანახმად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიც იყო გამოვლენილ გამოწვევებს შორის პრიორიტეტების დადგენა.

სამუშაო ჯგუფი შეიქმნა დაინტერესებული მხარეების უკვე შედგენილი რუკების და სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე. ჯგუფში გაერთიანდნენ კერძო სექტორის, მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთა საერთო რაოდენობამ 36-ს მიაღწია (დეტალური ჩამონათვალი მოცემულია დანართში 2).

ცხრილი 2.2 ჯგუფების წევრების განაწილება დაინტერესებული მხარეების მიხედვით

	დაინტერესებული მხარე	ინტერვიუების რაოდენობა
1	კერძო სექტორი	24
2	მთავრობა	10
3	დონორი	2

15 სექტემბერს გაიმართა სამუშაო ჯგუფის (WG) ვირტუალური შეხვედრა, რომელზეც პროექტზე მომუშავე გუნდმა წარადგინა და სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად განიხილა კვლევის შედეგები.

3. საქართველოში გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორის მიმოხილვა

3.1. საქართველოში ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის (BPO) მიმოხილვა

ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი (BPO) არის ერთი ან მეტი ბიზნესპროცესის გადაცემა იმ გარე მომწოდებლისთვის, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს და მართავს შერჩეულ პროცესებს განსაზღვრული და გაზომვადი გეგმის მიხედვით. ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის (BPO) გლობალური ბაზარი 2015-2018 წლებში გაიზარდა წლიური 4%-ით და მის გაზრდას 2022 წლამდე წელიწადში 5%-ით პროგნოზირებენ (დელოიტი: 2018). ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის (BPO) სექტორში კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად სასურველია ქვეყანაში იყოს შრომის დაბალი ანაზღაურება, ხელსაყრელი ბიზნეს გარემო და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა ან ამ ფაქტორების ერთობლიობა. დელოიტის მიერ 2017 წელს ჩატარებულმა ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის მოზიდვისა და ერთიანი მომსახურების ცენტრების (SSC) სექტორების გლობალურმა კვლევამ, გამოავლინა ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მომსახურების ცენტრების შექმნის გადაწყვეტილების მიღებაზე. ეს ფაქტორები ძირითადად იყო: არსებული წარმატების ისტორიები, ადგილმდებარეობა, გამოცდილი სამუშაო ძალა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა (დელოიტი: 2018).

ცხრილი 3.1 ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგისა და ერთიანი მომსახურების ცენტრების შექმნასთან დაკავშირებული გადამწყვეტი ფაქტორები და მათი კომპონენტები

გადამწყვეტი ფაქტორი	კომპონენტი	გამოკითხულთა რაოდენობა პროცენტებში, რომელიც ასახელებს ამ ფაქტორს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს
მდებარეობა	არსებული შვილობილი კომპანია	90%
	გეოგრაფიული არეალი	
	დროის სარტყლის სხვაობა	
ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის და ერთიანი მომსახურების ცენტრების წარმატების ისტორიები	შესაბამის სექტორებში გლობალური კომპანიების არსებობა	70%
ადამიანური რესურსები	მაღალკვალიფიციური და მრავალენოვანი სამუშაო ძალა	65%
	უმადლესი განათლების მქონე ადამიანების დიდი რაოდენობა	
	შრომისმოყვარე ბიზნეს კულტურა	

ინფრასტრუქტურა	კარგად განვითარებული და იაფი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა	40%
	ინტერნეტის საშუალო სიჩქარე	
	„ა“ კლასის საოფისე ფართების არსებობა ხელმისაწვდომ ფასად	
	საერთაშორისო აეროპორტები, სარკინიგზო და ჩქაროსნული საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურა	
	კარგად განვითარებული საბანკო სისტემა	

წყარო: დელოიტი: 2018

რესპონდენტების მიერ დასახელებულ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებში შედის "ქვეყნის პროფილი და ეკონომიკური მაჩვენებლები" და "სამართლებრივი გარემო". ცენტრების შექმნისას ინვესტორებისთვის ძირითად მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს: "მონაცემთა უსაფრთხოება", "სამუშაოს შესრულების ხარისხის საიმედოობა", "მუშახელის მდგრადობა" და "კანონებისა და წესების დაცვა".

ამასთანავე, კვალიფიციური სამუშაო ძალა და ინფრასტრუქტურა, ასევე სტაბილური ეკონომიკური გარემო და დაბალი დანახარჯები იყო ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც დასახელდა 2000-იან წლებში ბალტიის ქვეყნებში, რუმინეთსა და ბულგარეთში მომსახურების ცენტრებში ინვესტირების მთავარ ფაქტორებად (დელოიტი: 2018).

ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის სექტორში საქართველოს გააჩნია რამდენიმე უპირატესობა, რაც სწორი კომბინირებისა და მარკეტინგის შემთხვევაში შესაძლებელია იქცეს კონკურენტულ უპირატესობად. ესენია:

- ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალი ხელფასი და იაფი იჯარა, მათ შორის ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის სერვისების მიმწოდებლების ანაზღაურების ჩათვლით;
- მე -7 ადგილი მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის რეიტინგში¹;
- ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ძირითად კლიენტებთან მიმართებით დროის სხვაობის თვალსაზრისით;
- ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის სექტორის განვითარებისაკენ მიმართული ეფექტური სამთავრობო ინიციატივები;
- ხელსაყრელი მარეგულირებელი და საგადასახადო გარემო;
- ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე.

¹ Georgia Ranks 7th in the World for Ease of Doing Business, says Latest World Bank Study. (2019, October 24). World Bank. <https://bit.ly/3eHdz4y>

ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობების გათვალისწინებით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის სექტორი სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „აწარმოე საქართველოში“ (Enterprise Georgia - EG) და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) წარმოადგენენ საქართველოში გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორის განვითარების მთავარ ინსტიტუტებს. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო განსაზღვრავს პოლიტიკას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში და კოორდინაციას უწევს ციფრული ეკონომიკის განვითარებას ქვეყანაში. „აწარმოე საქართველოში“-ის ექსპორტის დეპარტამენტი მხარს უჭერს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, ხოლო მისი ინვესტიციების დეპარტამენტი მიზნად ისახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის სექტორში. ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი 2016 წლიდან გახდა პრიორიტეტული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, ხოლო 2019 წელს დაიწყო სპეციალური ღონისძიებების გატარება. „აწარმოე საქართველოში“ ბიზნესპროცესის შესასრულებლად პრიორიტეტს ანიჭებს გარე რესურსების მიწოდების შემდეგ მიმართულებებს:

- მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა (CRM) ² - USAID- ის „ღირებულების წარმოქმნის ჯაჭვის პრიორიტეტიზაციისა და ხარვეზების შეფასების“ ანგარიშის მიხედვით, რომელიც მომზადდა 2019 წელს, მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა ოფშორული მომსახურების ღირებულების წარმოქმნის ჯაჭვში საქართველოს დასაქმების 90%-ს შეადგენს; სატელეფონო მომსახურების ცენტრები საქართველოში მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სფეროში ყველაზე გავრცელებული სერვისის შეთავაზებაა.
- ფინანსები და ბუღალტრული აღრიცხვა³ (F&A) - საქართველოში უამრავი ფინანსური და ბუღალტრული კომპანიაა დარეგისტრირებული და ისინი ძირითადად ადგილობრივ კლიენტებს ემსახურებიან, რადგან ქვეყანაში ამ მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია. უფრო მეტიც, ფინანსური და ბუღალტრული კომპანიებისთვის ოფშორული მომსახურების შეთავაზება, ზოგადად, უფრო რთულია, რადგან სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო კოდეზი და მარეგულირებელი გარემო ერთმანეთისგან განსხვავებულია, რაც ართულებს ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების ფირმებისთვის ახალ ბაზრებზე გასვლას (USAID, 2019).
- ადამიანური რესურსების მართვა (HRM) - ადამიანური რესურსების მართვა რჩება ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის მომსახურების ყველაზე მცირე ქვესექტორად. ადამიანური რესურსების მართვის ქართული კომპანიები ემსახურებიან ძირითადად ადგილობრივ კლიენტებს და იმ უცხოელებს, რომლებსაც სურთ საქართველოში ბიზნესის განთავსება. ამრიგად, ამ ქვესექტორის ბაზრის მოცულობა მცირეა.
- არქიტექტურა, დიზაინი და ინჟინერია (ADE) - არქიტექტურის, დიზაინის და ინჟინერიის (ADE) სექტორი საქართველოში კარგად არის განვითარებული. ბაზარზე მუშაობენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კომპანიები და ემსახურებიან როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ კლიენტებს. საქართველოში არსებული არქიტექტურული კომპანიები ახორციელებენ თავიანთი მომსახურების ექსპორტს,

² CRM ცენტრები მომხმარებლებს სთავაზობენ მხარდამჭერ აქტივობებს, ძირითადად ქოლ-ცენტრების სახით

³ ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის ამ ტიპის ცენტრი მომხმარებელს ფინანსურ და ბუღალტრულ მომსახურებას სთავაზობს.

რადგან ქვეყანაში დაბალია ხელფასები (ადგილობრივი ხელფასი 4-5 ჯერ დაბალია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში) (USAID, 2019).

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ოფშორინგი - საინფორმაციო ტექნოლოგიების ქვესექტორი უნიკალურია, რადგან უშუალოდ ის სერვისი, რომელიც ბიზნესპროცესების მომსახურების მიზნით შეიძლება იქნეს შეთავაზებული, თავის მხრივ, სხვა ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის ქვესექტორებსაც უწყობს ხელს, რადგან ისინი იყენებენ ღრუბლოვანი (cloudbased) პროგრამულ უზრუნველყოფას და მონაცემთა ბაზებს. საქართველოში დაფუძნებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური კომპანიები ჩართული არიან შიდა მომხმარებლებისთვის პროგრამების შემუშავების პროცესში, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაში, მონაცემთა ბაზების მხარდაჭერასა და ვებ დიზაინში, ხოლო საერთაშორისო კლიენტებისთვის ისინი ძირითადად უზრუნველყოფენ ინფრასტრუქტურას სხვა ოფშორული სერვისებისთვის, პროგრამების ინტეგრაციასა და მათ განვითარებას ხარჯების ეფექტურობის საფუძველზე, ძირითადად, ხელფასების ხარჯზე (USAID, 2019).

საქართველომ უკვე მიაღწია წარმატებას ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. მრავალეროვნული (მულტინაციონალური) კომპანიები „მეიჯორელი“ (Majorel) და „ევოლუმენ გეიმინგი“ (Evolution Gaming) საქმიანობენ საქართველოში და თავიანთ ბიზნესს აფართოებენ კიდევ. ქვეყანა მიზნად ისახავს დღემდე მიღწეულ წარმატებაზე დაყრდნობით მოიზიდოს უფრო მეტი კომპანია ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის სექტორში. საქართველოში შემოსვლის შემდეგ ამ კომპანიებმა გააორმაგეს სექტორში დასაქმებულ პირთა რაოდენობა (დელოიტი: 2018).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეს სექტორი განვითარების ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. დელოიტის კვლევის თანახმად, 2018 წელს ქვეყანაში არსებობდა ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის 131 ცენტრი, რომელთა საერთო ბრუნვამ 20.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, სრულ განაკვეთზე კი დაახლოებით 2 500 ადამიანი იყო დასაქმებული. ამ სექტორში მოღვაწე კომპანიების დიდი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი და შიდა ბაზრის საჭიროებებზეა ორიენტირებული, თუმცა სექტორში რამდენიმე მსხვილი მოთამაშეა, რომელიც მომსახურებას მხოლოდ საერთაშორისო კლიენტებს სთავაზობს.

3.2. საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის მიმოხილვა

იუნესკოს (UNESCO) განმარტებით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს "მრავალფეროვან ტექნოლოგიურ ინსტრუმენტს და რესურსს, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გადაცემის, შენახვის, შექმნის, გაზიარების ან გაცვლის მიზნით". მაღალგანვითარებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის მქონე ქვეყნებს აქვთ მაღალი ხარისხის ინტერნეტი, უკაბელო დამოხილვური ქსელები, და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპლექსი, რაც იძლევა თანამედროვე ტექნოლოგიების დიდ ქსელში ჩართვის საშუალებას და საბოლოოდ ხელს უწყობს თანამშრომლობას, ხელმისაწვდომობასა და კრეატიულობას.

3.2.1. საქართველოს მთავრობის სტრატეგიები და ინიციატივები საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისათვის

2020 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგია

მაღალტექნოლოგიური ექსპორტის გაზრდას, კვლევისა და ინოვაციების განვითარებას და გლობალურ ციფრულ ეკონომიკაში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

3.2.2. საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამუალებების გამოყენება

3.2.2.1. ქსელის მზადყოფნის ინდექსი (NRI)

ქსელის მზადყოფნის ინდექსი (NRI) არის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2002 წელს შედგენილი ინდექსი, ხოლო მის ბოლო გამოცემაში (2019) შეფასებულია ჯამში 121 ქვეყნის ეკონომიკა 62 ცვლადის მიხედვით. ინდექსის მიზანია ქვეყნების საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა.

საქართველო ქსელის მზადყოფნის ინდექსის მიხედვით 68-ე ადგილს იკავებს 121 ქვეყანას შორის. მას მაქსიმალური 100-დან სულ 48.8 ქულა მიენიჭა. ინდექსის ოთხი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით, საქართველოს ყველაზე დაბალი შეფასება (84 – ე ადგილი 121 – დან) გავლენის კრიტერიუმისთვის მიენიჭა, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენა ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტია. უფრო მაღალი ადგილი ქვეყანამ ტექნოლოგიის კატეგორიაში დაიკავა (57 – ე ადგილი 121 – დან). ინდექსის ქვეკატეგორიების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ საქართველო სკოლებში ინტერნეტით სარგებლობის მიხედვით, მსოფლიოში პირველ ადგილზეა - 100 ქულით. საქართველოში ასევე შედარებით მაღალია 4G დაფარვა (მე-15 ადგილი), აგრეთვე, კიბერუსაფრთხოება (მე-20 ადგილი) და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კარგი მარეგულირებელი გარემო (მე-20 ადგილი). საქართველოს ასევე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს (მე-13 ადგილი) მოზრდილთა წიგნიერების კატეგორიაში, მაღალია სკოლებში კითხვის ცოდნის დონეც (24 – ე ადგილი).

ზოგიერთ ქვეკატეგორიაში საქართველოს ჩამორჩენა განპირობებულია ქვეყანაში პროგრამული უზრუნველყოფის მეკობრეობის მაღალი მაჩვენებელით (89-ე ადგილი), მობილური ტელეფონების მაღალი ფასებით, რაც ამცირებს ხელმისაწვდომობას (81-ე ადგილი) აგრეთვე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დაბალი ხარისხითაც (87-ე ადგილი). საქართველოს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვს ინკლუზიურობის ქვეკატეგორიაში, რომლითაც განისაზღვრება ციფრული დაყოფა ქვეყნის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს შორის. უფრო კონკრეტულად, საქართველოს სოფლები ჩამორჩება ციფრული გადახდების გამოყენების თვალსაზრისით. ზოგადად, ციფრული გადახდების გამოყენებისას დიდი განსხვავება შეიმჩნევა სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ ჯგუფებს შორის. ელექტრონული მონაწილეობა და კონტენტზე ინტერნეტით ხელმისაწვდომობაც დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ინტერნეტის მოხმარებისას გენდერული განსხვავების თვალსაზრისით, საქართველო 49-ე ადგილს იკავებს.

საერთო ჯამში, საქართველოს კარგი შეფასება აქვს წიგნიერების და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის კუთხით, მაგრამ ჩამორჩება ინკლუზიურობის და მაღალტექნოლოგიურობის მხრივ.

3.2.2.2. შინამეურნეობებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის მაჩვენებლები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) ატარებს გამოკითხვას საქართველოს შინამეურნეობებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით

სარგებლობის მაჩვენებლების დასადგენად. 2020 წლის კვლევის ერთ-ერთი მთავარი შედეგია იმის დადგენა, რომ ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მაღალია (მოსახლეობის 83.3%), თუმცა არსებობს არათანაბარი ხელმისაწვდომობა ქალაქებსა და სოფლებს შორის, რადგან ქალაქში მცხოვრებთა 90.7%-ს აქვს ინტერნეტი, ხოლო სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 74.5%-ს. ეს განსხვავება განსაკუთრებით თვალში საცემია საქართველოს მთიან რეგიონებში.


რესპონდენტთა ასაკის მიხედვით ინტერნეტის მოხმარების დისაგრეგაცია გვიჩვენებს, რომ თუ 15-29 და 6-14 წლის ასაკის ჯგუფების მიერ ბოლო სამი თვის განმავლობაში ინტერნეტით სარგებლობა, შესაბამისად 97.2%-ს და 92.2%-ს შეადგენდა, 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებისთვის იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 32.5% იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინამეურნეობების 94% -ზე მეტს (როგორც ქალაქში, ასევე სოფლად) სურს ინტერნეტით სარგებლობა სოციალურ ქსელში ჩასართავად, მათგან მხოლოდ 14,2% -მა გამოიყენა ინტერნეტი სამუშაოს მოძიების მიზნით. ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია ურბანულ რაიონებში (17.1%), ვიდრე სოფელში (8.4%). მნიშვნელოვანია, რომ გამოკითვის წინა სამთვიანი პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის მხოლოდ 17,9%-მა გამოიყენა ინტერნეტი პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციის ჩამოტვირთვისთვის (მობილური თამაშების გარდა). ურბანულ რაიონებში ეს მაჩვენებელი 21%-ს შეადგენს, რაც ორჯერ მაღალია, ვიდრე სოფლად (10,5%).

საქართველოში ელექტრონული კომერციის წილი დაბალია, გამოკითხვამდე ბოლო 12 თვის განმავლობაში საქონლის ან მომსახურების შესაძენად ან შესაკვეთად ინტერნეტი მოსახლეობის მხოლოდ 21.3%-მა გამოიყენა⁵. ეს წილი თითქმის იდენტურია მამაკაცებისა და ქალებისათვის, თუმცა კიდევ ერთხელ გამოიკვეთა განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის: ქალაქის მოსახლეობის 27.4% მიმართავს ელექტრონულ კომერციას, ხოლო სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 9.1%. ელექტრონული კომერციით მოსარგებლეთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფშია - გასული ერთი წლის განმავლობაში პროდუქტის შესაძენად ინტერნეტი ამ ასაკობრივი ჯგუფის 37.3% -მა გამოიყენა.

⁵ მოსალოდნელია, რომ მოცემული პროცენტული მაჩვენებელი მოიმატებს, რადგან კოვიდ-19-ის მიერ გამოწვეულმა ლოქდაუნმა გაზარდა ელ.კომერციის მოხმარება.

დიაგრამა 3.1 15 წლის და უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფში ინტერნეტის იმ მომხმარებელთა წილი, რომლებმაც შეიძინეს ან შეუკვეთეს საქონელი ან მომსახურება ინტერნეტით ბოლო 12 თვის განმავლობაში. (2020)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

3.2.3. საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორის დინამიკა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორი იზრდებოდა. 2015-2019 წლებში საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში ჩართული კომპანიების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზმა ცხადყო ამ სექტორის⁶ კომპანიების შემოსავლების აღმავალი ტენდენცია: მათი შემოსავლები 2015 წლის 144,6 მლნ ლარიდან 2019 წლისათვის 254 მლნ ლარამდე გაიზარდა (75% -იანი ზრდა). ამ ხუთი წლის განმავლობაში დაფიქსირდა ყოველწლიური ზრდა, ხოლო წლიური ზრდის საშუალო ტემპმა 25% შეადგინა.

⁶ საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორის კომპანიები/ფირმები „კომპიუტერული პროგრამირების, კონსულტაციებისა და დაკავშირებული საქმიანობით“ დაკავებული ერთეულებია. (NACE rev. 2 code 62). გაითვალისწინეთ, რომ „პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი კომპანიები წინამდებარე ანალიზში არ შესულა, შესაბამისი NACE-ს კოდის მიხედვით მონაცემების არარსებობის გამო.


დიაგრამა 3.2 საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორის კომპანიების შემოსავალი და შემოსავლების ზრდის წლიური ტემპი საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დროის განხილულ პერიოდში საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა დასაქმებულ პირთა რაოდენობა. 2019 წელს, 2015 წელთან შედარებით, იგი ორჯერ გაიზარდა, 2015 წელს ამ სექტორში 1 494 ადამიანი იყო დასაქმებული, ხოლო 2019 წლისთვის-3 062 ადამიანი. 2015 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 2014 წელთან შედარებით 12.3%-ით შემცირდა, მაგრამ ეს ერთადერთი პერიოდი იყო, როდესაც ზრდის უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ფაქტობრივად, 5 წლის განმავლობაში საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელმა 14.1% შეადგინა.

დიაგრამა 3.3 დასაქმება IT-ის კომპანიებში და დასაქმების ზრდის წლიური მაჩვენებელი IT-ის სექტორში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უფრო მეტიც, ძირითად საშუალებებში ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა - 2014-2018 წელს ის ექვსჯერ გაიზარდა და 4 მლნ ლარიდან 23,7 მლნ ლარს მიაღწია.

2016 წელს, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ინვესტიციები ძირითად საშუალებებში (177%), ასევე დასაქმებულ პირთა რაოდენობა (48%).

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ჩანს სექტორის განვითარების ზრდის მაღალი ტემპი.

3.2.4. განათლება საქართველოს IT-ის სექტორში


2013-2019 წლებში საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიური სფეროს კურსდამთავრებულთა მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო დაკვირვება. კვლევის პერიოდში საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსდამთავრებულთა საშუალო წილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთო კურსდამთავრებულთა შორის 2.8%-ს შეადგენს, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 9.53%-ს აღწევს. უფრო მეტიც, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა 1.5-ჯერ აღემატება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რაოდენობას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით. კერძოდ, პროფესიული სასწავლებლების მხრიდან მინიმალური მოთხოვნები, პროფესიული კოლეჯების ხელმისაწვდომობა, პროფესიული განათლების მიღების დაბალი ღირებულება, აგრეთვე პროფესიული განათლების მიღების მოკლე ვადები.

მონაცემების გენდერულ ჭრილში ანალიზმა გამოავლინა საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში არსებული დისბალანსი. 2013-2019 წლებში უმაღლესი სასწავლებლების მამაკაც კურსდამთავრებულთა რაოდენობის შეფარდება ქალთა რაოდენობასთან იყო 3:1-თან, ხოლო იგივე შეფარდება პროფესიული განათლების დაწესებულებებში 4:1-თან. ამავე დროს, უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულების საერთო რაოდენაში, ქალთა რიცხვი 1,5-ჯერ აღემატება მამაკაცების რიცხვს, ხოლო პროფესიული განათლების შემთხვევაში გენდერული ბალანსი სტაბილურია.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკებში წარმოდგენილია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს კურსდამთავრებულთა რაოდენობის დინამიკა, როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ასევე წარმოდგენილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ქალ და მამაკაც კურსდამთავრებულთა შეფარდება კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობაში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საინფორმაციო ტექნოლოგიების ქალ კურსდამთავრებულთა წილი საერთო რაოდენობას შორის უცვლელად დაბალი იყო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მდედრობითი სქესის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 0.7%-მა შეისწავლა საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხოლო პროფესიული განათლების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 4.1% იყო.


გოგონებში საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს შედარებითი არაპოპულარობა შეიძლება აიხსნას არსებული სტიგმით, რომ მათემატიკასთან და ზოგადად მეცნიერებასთან დაკავშირებული კარიერა მათთვის დაუძლეველი ან არასასურველი შეიძლება იყოს.

დიაგრამა 3.4 საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რაოდენობა და ამ სექტორში ქალ და მამაკაც კურსდამთავრებულთა რაოდენობა მამაკაც და ქალ კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობასთან შეფარდება.



წყარო: Emis.ge; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

დიაგრამა 3.5 საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რაოდენობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მამრობითი და მდედრობითი სქესის კურსდამთავრებულთა წილი მამაკაც და ქალ კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობაში.



წყარო: Emis.ge; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

4. პოლიტიკის გამოწვევები: დაინტერესებული მხარეების პერსპექტივები

ამ თავში მოცემულია ყველა ის გამოწვევა, რომელიც გამოიკვეთა სავლე კვლევის დროს თითოეული ჯგუფის რესპონდენტების მხრიდან (კერძო სექტორი, სახელმწიფო სექტორი, დონორი ორგანიზაციები და ბიზნეს ასოციაციები/გაერთიანებები). ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ წარმოჩენილი გამოწვევები (კერძო სექტორი, კომპანიები და ასოციაციები, სახელმწიფო სექტორი და დონორი ორგანიზაციები), თითოეულ ჯგუფში არსებული ძირითადი პრობლემები/გამოწვევები, გამოწვევების აღწერა და ის სექტორები, სადაც ეს გამოწვევები აღინიშნება.

4.1. კერძო სექტორის ხედვა

კერძო სექტორის მიერ გამოვლენილი გამოწვევათა ჯგუფი	კერძო სექტორის მიერ ხაზგასმული ძირითადი პრობლემები/გამოწვევები	გამოწვევების აღწერა	სექტორი
ადამიანური რესურსები	კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა	<p>სამუშაო ძალის უნარების დონე გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. როგორც წესი, საქართველოს უნივერსიტეტებისა და პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულებს კომპანიების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დამატებითი ტრენინგები და სწავლება სჭირდებათ. პროექტის გუნდის მიერ მოცემული კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საქართველოს უნივერსიტეტებში სტუდენტთა უმეტესობას აქვთ მხოლოდ თეორიული ცოდნა და განიცდიან პრაქტიკული ცოდნის ნაკლებობას.</p> <p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიებს ქართულ ბაზარზე სპეციალისტების მოძებნა ძალიან უჭირთ, აღნიშნული განპირობებულია ქვეყანაში სპეციალისტების ნაკლებობით და მათზე არსებული დიდი მოთხოვნით. გამოკითხული კომპანიების განცხადებით, მათ უჭირთ ბიზნესის გაფართოება და ამის ერთ-ერთ მიზეზად, სწორედ, კვალიფიციური სამუშაო ძალის სიმცირეს ასახელებენ.</p> <p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიების</p>	<p>გაზიარებული ინტელექტუალური სერვისები: ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები</p>

	<p>გარდა კვალიფიციური მუშახელის პრობლემა გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორის სხვა სფეროებშიც დგას. მაგალითად, კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებული გამოწვევა არქიტექტურის სექტორშიც არსებობს და კომპანიებს თავად უწევთ პერსონალის გადამზადება, რადგან არქიტექტურის სფეროში საერთაშორისო ნორმებისა და პროგრამების ცოდნა ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს.</p> <p>მეტიც, ეს პრობლემა ბუღალტერიისა და ფინანსების სექტორშიც არსებობს. კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა კიდევ უფრო შესამჩნევია რეგიონებში, რაც აფერხებს ამ სექტორის რეგიონულ განვითარებას.</p> <p>საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციის სფეროში⁷ ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლებობაა. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის წარმომადგენლების აზრით, საქართველოში თითქმის არ არსებობს პროგრამები, რომლებიც ამ სფეროს მომავალ სპეციალისტებს საჭირო უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებულ პროგრამებს სჭირდება უფრო ხშირი განახლება, რადგან ეს სექტორი სწრაფი ტემპით ვითარდება, თანაც, უნივერსიტეტების პროგრამები, წლების წინ შემუშავდა და დღევანდელ რეალობას აღარ ერგება. კომპანიები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კერძო სექტორის ჩართულობას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციის სფეროსთვის პროგრამების შემუშავებაში.</p> <p>საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ქვეყანაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების 3000</p>	
--	---	--

⁷ წყარო: საქართველოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი, დავით კიზირია, 2018.

		<p>სპეციალისტის შესაძლებლობების განვითარებისა და გადამზადების მიზნით გეგმავს პროექტის დაწყებას, რომლის პირველ ეტაპზეც გადამზადდება 500 სპეციალისტი.</p> <p>ცოტა ხნის წინ, ახალი გამოწვევების დასადგენად და მათ დასაძლევად სექტორების დახმარებისაკენ მიმართული სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ (EG) ექსპორტის დეპარტამენტმა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიებს გაუგზავნა კითხვარები. სწორედ, მათი ანალიზის საფუძველზე, სააგენტო შეიმუშავებს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმას. ტრადიციულად, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში ელექტრონული მმართველობის ცენტრი სწორედ, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას უჭერს მხარს.</p>	
ინფრასტრუქტურა	დაბალი ხარისხის ინტერნეტი რეგიონებში	გამოკითხული კომპანიების აზრით, მათი ბიზნესის რეგიონული განვითარებისთვის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორს რეგიონებში ინტერნეტის დაბალი ხარისხი წარმოადგენს.	ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი
	რეგიონებში ელექტროენერჯის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები	გამოკითხული კომპანიების აზრით, ელექტროენერჯით მომარაგების არასაიმედოობა რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვაა.	ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი
მთავრობის პოლიტიკა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით	სახელმწიფო შესყიდვების როლი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარებაში	<p>ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების ძირითადი პოტენციური მომხმარებლები არიან მთავრობა, მსხვილი, მცირე და საშუალო ზომის კერძო საწარმოები (მცირე და საშუალო ბიზნესები).</p> <p>მაშინ როცა მსხვილი საწარმოები ცდილობენ, საკუთარი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვისები თავადვე განავითარონ, მცირე და საშუალო საწარმოებს საკუთარი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების</p>	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

		<p>სერვისების დასაფინანსებლად არ აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსი.</p> <p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის წარმომადგენლების აზრით, საქართველოს მთავრობა კერძო სექტორის მიერ მოწოდებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების ყველაზე დიდი პოტენციური მომხმარებელია. საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად აქტიურად ხარჯავს ფულს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. თუმცა, სამთავრობო ინსტიტუტები საკუთარი რესურსებით ავითარებენ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვისებს, კერძო სექტორის ინოვაციური პოტენციალი კი ნაკლებად არის გამოყენებული.</p> <p>ქვეყნებში, სადაც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი საკმაოდ განვითარებულია, სახელმწიფო სტრუქტურები კერძო სექტორისგან შეისყიდებიან ICT სერვისებს. ეს ამლიერებს კონკურენციას და ხელს უწყობს სექტორის მთლიან ზრდას. სასურველი იქნება ამ თემაზე მთავრობასთან დიალოგის დაწყება. ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე დაწყებულია კომუნიკაცია ბიზნეს ომბუდსმენთან.</p> <p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიებს ჰქონდათ იდეები და პროექტები კოვიდ-19-ის აპლიკაციის შემუშავებასთან დაკავშირებით, თუმცა საქართველოს მთავრობამ მათი სერვისების გამოყენების ნაცვლად საზღვარგარეთ შექმნილ აპლიკაციას მიანიჭა უპირატესობა და ქვეყანაში შემოიტანა.</p>	
<p>ქალთა ჩართულობა</p>	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის მიმართ ქალთა ინტერესის ნაკლებობა</p>	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის წარმომადგენელთა აზრით, ქალთა ინტერესი ტექნოლოგიების სექტორში ჩართვის მიმართ დაბალია. ეს, ძირითადად, კულტურული ფაქტორებით არის განპირობებული.</p>	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები</p>

<p>ფინანსებზე ხელმისაწვდომობა</p>	<p>მოქნილი დაფინანსების შესაძლებლობების არარსებობა</p>	<p>უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის წარმომადგენელთა აზრით, კომერციული ბანკებისგან ფინანსური პროდუქტების მისაღებად მათ მოეთხოვებათ უზრუნველყოფის წარდგენა. თუმცა სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიები უძრავ ქონებას თითქმის არ ფლობენ, შესაბამისად, მათ უჭირთ საბანკო სესხის მიღება.</p> <p>ალტერნატიული დაფინანსების წყაროების ნაკლებობა. გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორის გამოკითხული წარმომადგენლების აზრით, ბიზნესს ხელი არ მიუწვდება ტრადიციული საბანკო სესხების გარდა სხვა, ალტერნატიულ დაფინანსებაზე (როგორცაა ფართო მასების მიერ სახალხო დაფინანსება (ე.წ. „ქრადფანდინგი“), P2P დაკრედიტება, ბაზრისმიერი დაკრედიტება, ბიზნეს ანგელოზები და ა.შ.). ამჟამად საქართველოში მხოლოდ შემოწირულობაზე დაფუძნებული ქრადფანდინგი არსებობს და ნაკლებად ვხვდებით საკუთარი კაპიტალის და კრედიტის ქრადფანდინგს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერ არ არსებობს კანონი შემოწირულობებზე დაფუძნებული ქრადფანდინგის (სახალხო დაფინანსება) შესახებ, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის მიზნით GITA–მ 2018 წელს წამოიწყო დისკუსია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. ეს ცვლილებები შეეხება მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნას საკუთარი კაპიტალის და კრედიტის ქრადფანდინგის მეშვეობით ბიზნესის დაფინანსების რეგულირებას. GITA-სა და მარეგულირებელ ორგანოს შორის (ეროვნული ბანკი) კანონპროექტის ირგვლივ დიალოგი ამჟამადც მიმდინარეობს. გარდა ამისა, GITA–მ ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის დახმარებით მუშაობა დაიწყო საქართველოში FinTech–ის განვითარების პერსპექტივის შეფასებაზე.</p> <p>სახელმწიფო პროგრამები. ქვეყანაში აღინიშნება საინფორმაციო-</p>	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები</p>
-----------------------------------	--	---	--

	<p>საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების ნაკლებობა. რესპონდენტთა აზრით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) საგრანტო პროგრამა (650 000 ლარი) ძირითადად ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებზეა ორიენტირებული. უფრო მეტიც, არსებობს საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციისკენ მიმართული პროგრამული დაფინანსების ნაკლებობაც; მსგავსი პროგრამების არსებობა გაზრდიდა კომპანიების მოთხოვნას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის მომსახურებებზე.</p> <p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკლებობა. უცხოელი ინვესტორებისთვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს მიუხედავად, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი განიცდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკლებობას⁸. გამოკითხული კომპანიების აზრით, სექტორის პოპულარიზაცია ნაკლებად ხდება.</p> <p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორისთვის საგადასახადო შეღავათების ნაკლებობა. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის გამოკითხული კომპანიების თანახმად, საგადასახადო ტვირთი მაღალია, რაც ამცირებს მათ კონკურენტუნარიანობას უცხოურ კომპანიებთან, რომლებსაც მეტი რესურსი აქვთ თავიანთი საქმიანობისთვის. კომპანიები თვლიან, რომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიებისთვის საშემოსავლო გადასახადი 20%-დან 5%-მდე უნდა შემცირდეს. აღნიშნულს მთავრობამ უპასუხა ინიციატივით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის</p>	
--	--	--

⁸ წყარო: საქართველოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი, დავით კიზირია, 2018

		<p>ოქტომბერში და ეყრდნობოდა ბელარუსის გამოცდილებას. მთავრობის ახალი დადგენილებით, განისაზღვრა ის სექტორები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ საერთაშორისო საწარმოს სტატუსი. ამათგან ერთ-ერთია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი. ინიციატივა მოიცავს საერთაშორისო სტატუსის მქონე საწარმოებისთვის გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საშემოსავლო გადასახადის შემცირება 20%-დან 5%-მდე; • მოგების გადასახადის შემცირება 15%-დან 5%-მდე; • საერთაშორისო სტატუსის მქონე საწარმოების გათავისუფლება ქონების გადასახადისგან. 	
გლობალურ ბაზრებზე წვდომა	სახელმწიფოს მხარდამჭერი ღონისძიებების შეზღუდული გავლენა გლობალურ ბაზრებზე საქართველოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის კომპანიების პოპულარიზაციაზე	ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, საქართველოს მთავრობა უცხოეთში მართავს სხვადასხვა ღონისძიებას ქართული კომპანიების პოტენციურ კლიენტებთან დაკავშირების მიზნით. თუმცა, რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ხელისუფლების ამ ქმედებებს განსაკუთრებული შედეგი არ გამოუღია.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
	საექსპორტო მომსახურების განუვითარებლობა	<p>გამოკითხული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიების წარმომადგენლების თქმით, ევროკავშირთან თანამშრომლობა (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების (DCFTA) ფარგლებში) იძლევა კარგ შესაძლებლობას სექტორის მომსახურების საზღვარგარეთ გატანისათვის. თუმცა, ეს პოტენციალი ჯერ კიდევ გამოუყენებელია.</p> <p>კომპანიებს უჭირთ ექსპორტირებადი სერვისების შექმნა, რადგან ამ სფეროში წარმატების მისაღწევად უპირველესად საჭიროა პროდუქტის განვითარება ადგილობრივ ბაზრებზე. ამ</p>	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

		<p>უკანასკნელის პერსპექტივა მინიმალურია, რადგან საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვისების ადგილობრივი ბაზრის ძირითადი მომხმარებლები (მთავრობა და მსხვილი საწარმოები) ამგვარ პროდუქტებს ორგანიზაციის შიგნით (უწყების შიდა რესურსების მეშვეობით) ავითარებენ.</p> <p>რესპონდენტების აზრით, სახელმწიფოს მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხი არ არის საკმარისი ექსპორტისთვის. ამავდროულად, მსხვილი კომპანიების (როგორცაა ფინანსური ინსტიტუტები და სატელეკომუნიკაციო კომპანიები) ძირითადი მიზანია მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის შექმნან ICT პროდუქტები, რომლებიც არა ახალი, არამედ გლობალურად განხორციელებული გადაწყვეტილებებია.</p>	
<p>დიגיტიზაციისა და ინოვაციების დონე კერძო სექტორში</p>	<p>საქართველოს კერძო სექტორის დაბალი ინფორმირებულობა დიგიტიზაციისა და ინოვაციების მნიშვნელობის შესახებ</p>	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის რესპონდენტთა აზრით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ ქართულ კომპანიების ინფორმირებულობის დონე დაბალია. ეს პრობლემა უფრო თვალშისაცემია საქართველოს რეგიონებში. საქსტატის მიერ ჩატარებულმა საწარმოების ინოვაციური საქმიანობის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 2018 წელს საწარმოთა მხოლოდ 3.2% –მა შეიტანა ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტები თავიანთ საქმიანობაში.</p> <p>საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ (GITA) გამოთქვა მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს ქართული კომპანიების დიგიტიზაციას ვაუჩერების მეშვეობით და გეგმავს ამ პროცესში დონორი ორგანიზაციების ჩართვას.</p>	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები</p>
<p>კანონმდებლობა</p>	<p>არასრულყოფილი მარეგულირებელი ჩარჩო - ელექტრონული ვაჭრობის შესახებ კანონის არარსებობა</p>	<p>ელექტრონული ვაჭრობის შესახებ კანონმდებლობის არარსებობა საქართველოში ელექტრონული ვაჭრობის ბიზნესის განვითარებისთვის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>ელექტრონული კომერცია</p>

		პარლამენტის სამემოდგომო სესიაზე კანონპროექტის წარდგენას გეგმავს, თუმცა საქართველოს ელექტრონული ვაჭრობის ასოციაციას ამ კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია.	
სერვისებზე წვდომა	რამდენიმე მომწოდებლისგან სხვადასხვა პროდუქტისა და მომსახურების შეძენის საჭიროება ელექტრონული კომერციის საქმიანობის დასაწყებად და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად (რაც პროცესს აძვირებს და უფრო შრომატევადს ხდის)	ბიზნეს კომპანიებს, რომლებსაც სურთ ელექტრონული კომერციის განვითარება, უხდებათ როგორც გადახდის განმახორციელებელი, ისე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომწოდებლების მოძებნა, ხოლო ამის შემდეგ სააღრიცხვო/ზუღალტრული გადაწყვეტილებების მიღება. ეს შესაძლოა გულისხმობდეს - მაღაზიის პროგრამულ უზრუნველყოფას, ჰოსტინგის სერვისებს, უსაფრთხოების ინსტრუმენტებს, სარეზერვო ასლებს, ინვენტარის მენეჯმენტს, მიწოდების მენეჯმენტს, გადახიდვის პროგრამულ უზრუნველყოფას, fintech გადაწყვეტილებებს, payment gateway, და სხვა მომსახურებებს, რომლებიც მორგებულია ელ.კომერციის პროდუქტების სპეციფიკაზე. სასურველია, რომ ეს სერვისები ერთიანი ფორმით იყოს ხელმისაწვდომი.	ელექტრონული კომერცია
კოვიდ-19	პანდემიის/კრიზისის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევები	კოვიდ-19-ის პანდემიამ გაზიარებული ინტელექტუალური სერვისების სექტორში წარმოაჩინა როგორც გამოწვევები, ისე შესაძლებლობები. პანდემიის დასაწყისში კომპანიების უმრავლესობა აღმოჩნდა გამოწვევების წინაშე, როდესაც მათ მოუწიათ ახალ რეალობასთან შეგუება. ბაზარზე შეიქმნა გაურკვეველობა, რადგან ზოგიერთმა კლიენტმა შეწყვიტა მუშაობა, ხოლო ზოგმა ნაწილობრივ გააგრძელა. იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის მუშაობდნენ, პანდემიის საწყისი პერიოდი ყველაზე რთული აღმოჩნდა, რადგან ამ სფეროში თითქმის ყველა პროექტი შეჩერდა. გამოკითხული კომპანიების განცხადებით, მდგომარეობა 2020 წლის აგვისტოდან გაუმჯობესდა.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

	<p>შემცირებული პროექტების გარდა, კომპანიებს ადმინისტრაციული შეზღუდვებიც შეექმნათ. დაიხურა საოფისე სივრცეები და კომპანიებს მოუხდათ დისტანციური მუშაობისთვის პერსონალის მობილიზება, აგრეთვე მათი მომარაგება საჭირო აღჭურვილობით. ზოგიერთი კომპანიისთვის რთული აღმოჩნდა თანამშრომლებთან კომუნიკაცია და ახალი კადრების მოძიება.</p> <p>სამუშაო ჯგუფის შეხვედრისას, ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის კერძო სექტორის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კოვიდ-19-ის კრიზისის დროს მათთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა საერთაშორისო გამოფენების არარსებობა, აღნიშნული კომპანიებს ხელს უშლიდა მარკეტინგსა და მათი მომსახურების პოპულარიზაციაში პოტენციური მომხმარებლებთან.</p>	
--	--	--

4.2. მთავრობის პერსპექტივა

საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენელთა მიერ ხაზგასმული გამოწვევების ჯგუფი	საჯარო სექტორის წარმომადგენლების მიერ ხაზგასმული ძირითადი პრობლემები / გამოწვევები	გამოწვევების აღწერა	სექტორი
მთავრობის პოლიტიკა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით	სახელმწიფო შესყიდვების როლი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარებაში	საჯარო დაწესებულებების მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტების შიდა განვითარება წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას ამ სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მთავრობის თვლის, რომ პროცესის მართვის გარე რესურსებისთვის გადაცემა (აუთსორსინგი) სახელმწიფოს უფრო ძვირი დაუჯდება, ამასთანავე სამართალდამცავი და სამხედრო ინსტიტუტებისთვის მეტად მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული პრობლემები.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
ფინანსებზე ხელმისაწვდომობა	ფინანსური პროდუქტების სიმცირე	კერძო სექტორის კომპანიების ზრდისა და განვითარებისთვის საჭირო ფინანსური პროდუქტების შეზღუდული სპექტრი. აუცილებელია ახალი ფინანსური პროდუქტების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სექტორის ზრდასა და განვითარებას.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
	კერძო სექტორის ინვესტორების ნაკლებობა	კერძო სექტორის ინვესტორების სიმცირე და უარყოფითი თანამშრომლობის პრაქტიკა ქართველ ინვესტორებსა და დამწყებ კომპანიებს შორის.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
ადამიანური რესურსები	ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობა	განათლების სექტორი კერძო სექტორს საკმარისი რაოდენობით ვერ აწვდის კონკურენტუნარიან საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებს. ამიტომ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიები მეტწილად თვითონვე ავითარებენ მათთვის აუცილებელ ადამიანურ რესურსებს, შედეგად მათ არ შეუძლიათ გაუწიონ კონკურენცია ისეთ სექტორებს, როგორცაა კომერციული ბანკები ან სათამაშო ბიზნესი. ყველაფერი ეს წარმოშობს დიდ სირთულეებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კვალიფიციური სპეციალისტების როგორც აყვანის, ისე მათი შენარჩუნების მხრივ. GITA და EG მუშაობენ ადამიანური რესურსების სექტორში ამჟამად არსებული გამოწვევების გადასაჭრელად. GITA–მ ახლახან დაიწყო პროექტი საქართველოში 3000	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

		საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სპეციალისტის შესაძლებლობების გაზრდისა და მათი გადამზადების მიზნით, ხოლო EG აგრძელებს კომპანიებისთვის მხარდაჭერას საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად.	
	მასიური გადამზადებისა და უნარების განვითარების საჭიროება	ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის სფეროში მსხვილი მულტინაციონალური კორპორაციების მოსაზიდად საჭიროა სამუშაო ძალის მასიური გადამზადება და უნარ-ჩვევების განვითარება. ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის სექტორში იზრდება მოთხოვნა გერმანულენოვან სპეციალისტებზე; ასევე აუცილებელია აქტიური თანამშრომლობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს შორის. ამ ეტაპზე საქართველო 100-200 დეველოპერის მოწოდებისთვისაც კი არ არის მზად.	ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი .
	პოტენციური ინვესტორების მხრიდან საქართველოს დაბალი ცნობადობა	საკუთარი სანდოობის გაზრდის მიზნით ქვეყანას სჭირდება მეტი საერთაშორისო BPO კომპანია. MNC-ების მოზიდვა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია, და სულ მცირე ორი წელია საჭირო შედეგის მისაღწევად. არ მომხდარა შეფასება, თუ რა მასშტაბის პროექტების მოზიდვა შეუძლია საქართველოს. აუცილებელია ქვეყნის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის სექტორში. რესპონდენტების აზრით, ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის კომპანიების მოსაზიდად, გერმანია წარმოადგენს მნიშვნელოვან ბაზარს.	ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი
წახალისება	ფინანსური მხარდაჭერისა და სექტორული წახალისების პაკეტების არარსებობა	კოვიდ-19-ის პანდემიის დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა MNC-ებისთვის ფინანსური დახმარების მექანიზმებისა და სექტორული წახალისების პაკეტების შეთავაზება. კონკურენტული და მოქნილი წახალისების პაკეტების შეთავაზებას ექნება დადებითი შედეგები. ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის სექტორის კომპანიები დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ როგორც საქართველოს ბიზნეს გარემოს, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესის ფუნქციონირების ხარჯებს, მაგრამ ზოგიერთი ხარჯი გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს. პარალელურად მიმდინარეობს დისკუსია ადამიანური რესურსების გადამზადებაში ელექტრონული მმართველობის ჩართვის შესახებ.	ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი
ინტერნეტზე წვდომა	კორპორატიული ინტერნეტის ხარჯები	კორპორატიული ინტერნეტის ხარჯები მაღალია და შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს მულტინაციონალური კომპანიების მოზიდვაზე.	ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი

საერთაშორისო კომპანიები	საქართველოს ბაზარზე საერთაშორისო კომპანიების არარსებობა	მსხვილი მულტინაციონალური საინფორმაციო ტექნოლოგიების კორპორაციების არარსებობა ქართულ ბაზარზე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარებისათვის გამოწვევას წარმოადგენს.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
ინფრასტრუქტურა	სექტორულ საჭიროებებზე მორგებული საოფისე ფართებზე წვდომის ნაკლებობა	საოფისე ფართები ზოგადად არ არის მორგებული ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის სექტორის საჭიროებებზე. საოფისე ფართების ფასები ასევე არ შეესაბამება მათ ხარისხს და ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის კომპანიების მოთხოვნებს.	ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბრენდი	ქართული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბრენდის არარსებობა	საქართველოს, როგორც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბრენდის შექმნა და საერთაშორისო ბაზრებზე მისი პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის შემდგომ განვითარებას.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
კოვიდ-19	პანდემიის/კრიზისის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევები	ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორებს უჭირთ სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა შენარჩუნება და მათთვის ხელფასების გადახდა. მათთვის ასევე რთული გახდა საოფისე ფართის ქირისა და სხვა გადასახადების გადახდაც. გარდა ამისა, მოგზაურობასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო მათ შემცირდათ საზღვარგარეთ ახალი მომხმარებლების მოძიების შანსებიც. ამიტომ საჭირო გახდა ახალი სტრატეგიისა და ახალი ბიზნეს მოდელის შემუშავება. ბიზნეს პროცესების სექტორში, საქართველოში მოქმედ მულტინაციონალურ კომპანიებს პანდემიის გამო ბიზნეს ოპერაციები არ შეუჩერებიათ, რადგან კომპანიებმა მოახერხეს დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა, რასაც ინტერნეტის მაღალმა ხარისხმა შეუწყო ხელი. არ შემცირებულა მოთხოვნა ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის მომსახურებაზე. ამასთან, ზოგიერთი კომპანია საქართველოში საქმიანობის გაფართოებასაც კი გეგმავს. უფრო მეტიც, კომპანიებს მიეცათ დამატებითი შესაძლებლობები დისტანციურ მუშაობასა და ონლაინ განათლებასთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით. დიდი მოთხოვნა გაჩნდა როგორც ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის შეთავაზებაზე, ისე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის მიერ წარმოებულ ახალ პროდუქტებსა და მომსახურებებზე.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი

4.3. დონორთა ხედვა

დონორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ ხაზგასმული გამოწვევების ჯგუფი	დონორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ ხაზგასმული ძირითადი პრობლემები/გამოწვევები	გამოწვევების აღწერა	სექტორი
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარების ტრაექტორია	კოორდინაციის ნაკლებობა	საერთაშორისო დონორების აზრით, საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი ძირითადად ინერციითა და დონორების დახმარებით ვითარდება. მას არ აქვს მთავრობის მხარდაჭერა, უფრო მეტიც, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარების ეკონომიკური მნიშვნელობა ბოლომდე არ არის გაცნობიერებული. დონორებისთვის რთულია ამ სექტორში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა იდენტიფიცირება, ასევე სუსტია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარებაზე პასუხისმგებელ სამინისტროებსა და უწყებებს შორის კომუნიკაცია და კოორდინაცია. აუცილებელია ამ პრობლემების სასწრაფოდ გადაჭრა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს გაუჭირდება თავის მსგავს, მაგრამ თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიების მქონე ქვეყნების ბაზარზე გასვლა.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
რესურსების ნაკლებობა კერძო სექტორში	რესურსების ნაკლებობა ბიზნესის გადაწყობისთვის	რთულია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ბიზნესის გადასაწყობად საჭირო რესურსების სწრაფი მობილიზაცია. კოვიდ-19-ის კრიზისმა გამოავლინა კერძო სექტორის დიგიტალიზაციის აუცილებლობა.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
ქალთა დასაქმება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში	ქალებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში სამსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემა	ისეთ ფაკულტეტებზე როგორცაა მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა მცირეა სტუდენტ გოგონათა რიცხვი. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ქალთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, უფრო მეტი მიზნობრივი პროგრამაა საჭირო; აუცილებელია სფეროში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ მიზნობრივი ინფორმაციის გავრცელება; ასამაღლებელია ქალთა ცნობიერება ციფრული ბიზნესის შექმნისა და განვითარების აუცილებლობის შესახებ.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

კოვიდ-19	პანდემიის/კრიზისის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევები	რთულია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნესის გადაწყობისთვის საჭირო რესურსების მობილიზება მოკლე დროში. პანდემიამ/კრიზისმა გამოავლინა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის მნიშვნელობა და აგრეთვე, კერძო სექტორის სუბიექტების ციფრული განვითარების აუცილებლობა.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
----------	--	--	---

5. შერჩეული გამოწვევების ჩამონათვალი

სექტორის მიმოხილვის, სამაგიდო კვლევისა და სექტორის წარმომადგენლებთან სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა სექტორის განვითარების წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევები თითოეული ქვესექტორის მიხედვით, როგორცაა: ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ელექტრონული კომერცია.

5.1. ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის სექტორში არსებული შერჩეული გამოწვევების ჩამონათვალი

გამოწვევების ჯგუფი	ძირითადი პრობლემები/გამოწვევები
ადამიანური რესურსები	კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.
ინფრასტრუქტურა	რეგიონებში დაბალი ხარისხის ინტერნეტი. სექტორულ საჭიროებებზე მორგებული საოფისე სივრცეების ნაკლებობა.
საქართველოს ცნობადობა ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის სფეროში არსებულ მულტინაციონალურ კომპანიების შორის	საქართველოს, როგორც ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის ბრენდის ხედვის ნაკლებობა, MNC კომპანიების მიერ.

5.2. შერჩეული გამოწვევების ჩამონათვალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში

გამოწვევების ჯგუფი	ძირითადი პრობლემები/გამოწვევები
ადამიანური რესურსები	კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.
მთავრობის პოლიტიკა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით	სახელმწიფო შესყიდვების როლი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარებაში.
ფინანსებზე ხელმისაწვდომობა	მორგებული დაფინანსების შესაძლებლობების ნაკლებობა.
ქალთა ჩართულობა	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში ქალთა ჩართულობის დაბალი დონე.
კოორდინაცია	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში კოორდინაციის ნაკლებობა. (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარებასთან დაკავშირებული ხედვის არარსებობა).
დიגיტალიზაციისა და ინოვაციების დონე კერძო სექტორში	საქართველოს კერძო სექტორის ცნობიერების ნაკლებობა დიგიტალიზაციისა და ინოვაციების მნიშვნელობის შესახებ.

5.3. შერჩეული გამოწვევების ჩამონათვალი ელექტრონული კომერციის სფეროში

გამოწვევების ჯგუფი	ძირითადი პრობლემები/გამოწვევები
მარეგულირებელი ჩარჩო	არასრულყოფილი მარეგულირებელი ჩარჩო და ელექტრონული კომერციის შესახებ კანონის არარსებობა.
მომსახურების მიწოდება	ბიზნესებისთვის სერვისების ერთობლივად მიწოდების შესაძლებლობა.

5.4. სამუშაო ჯგუფში გამართული კონსულტაციების დროს შერჩეული გამოწვევები

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე ჯგუფის წევრებს სპეციალური კითხვარი გაეგზავნათ კვლევის შედეგად გამოვლენილი გამოწვევების პრიორიტეტულობის დასადგენად. გამოწვევების შეფასებისას თითოეულ წევრს 1 ქულა უნდა მიენიჭებინა იმ საკითხისთვის, რომელსაც ისინი ყველაზე ნაკლებ პრიორიტეტულად ჩათვლიდნენ, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტს ისინი მაქსიმალურ 5 ქულას მიანიჭებდნენ.

დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად, გამოიყო სამი ჯგუფი - საჯარო სექტორის წარმომადგენლები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და დონორები, თითოეულ ჯგუფს მიენიჭა თანაბარი წონა. თითოეული გამოწვევისთვის კონკრეტული ჯგუფის მიერ მინიჭებული ქულები დაჯამდა და დადგინდა საშუალო შეწონილი, რის საფუძველზეც განისაზღვრა თითოეული ქვესექტორის პრიორიტეტები (ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ელექტრონული კომერცია). კითხვარი სულ 19 წარმომადგენელმა შეავსო.

თითოეული ქვესექტორის მთავარი გამოწვევები მოყვანილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (დეტალური ქულები მოცემულია დანართში 3).

ქვესექტორი	მთავარი გამოწვევები
ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი / რესურსების შეთავაზების სფერო	კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. საქართველოს ცნობადობა ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის სფეროს MNC ქვეყნებს შორის.
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში კოორდინაციის არარსებობა. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში კოორდინაციის ნაკლებობა. საქართველოს კერძო სექტორის ცნობიერების ნაკლებობა დიגיტალიზაციისა და ინოვაციების მნიშვნელობის შესახებ.
ელექტრონული კომერცია	ბიზნესებისთვის სერვისების ერთობლივად მიწოდების შესაძლებლობა

პრიორიტეტულ გამოწვევებთან დაკავშირებული რეკომენდაციები წარმოდგენილია პოლიტიკის ნარკვევის შემდეგ ნაწილში.

6. რეკომენდაციები

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

პოლიტიკის გამოწვევა	შემოთავაზებული ცვლილება პოლიტიკის დონეზე	შემოთავაზებული აქტივობა
<p>კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტი</p>	<p>ოთხ წელიწადში ერთხელ რეგულარული კვლევის ჩატარება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში უნარების მომავალი მოთხოვნის დასადგენად</p>	<ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარებზე მოსალოდნელი მოთხოვნის დასადგენად ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარებული ანალიზი ხელს შეუწყობს გამოცდილი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიონალების მიწოდებას შესაბამისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შედეგად: <ul style="list-style-type: none"> ○ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიას, საგანმანათლებლო სექტორსა და სამთავრობო დაწესებულებებს ექნებათ ზუსტ ინფორმაციაზე წვდომა, რომლის საფუძველზეც შეძლებენ შეცვალონ სტრატეგიები, სასწავლო პროგრამები და პოლიტიკა. ○ გამოვლინდება თანამშრომლობის შესაძლებლობები, ასევე სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის ფორმატები, რაც აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. ○ საქართველოს უნარების სააგენტო, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში კონკრეტული ინსტიტუციის შექმნას, შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც პლატფორმა, რომელიც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორისთვის მსგავსი კვლევების დაგეგმვასა და ჩატარებას უზრუნველავს. <p>საუკეთესო პრაქტიკა</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ირლანდიაში მსგავსი კვლევები ტარდება სამომავლო უნარების საჭიროების დამდგენ ექსპერტთა ჯგუფის (EGFSN) მიერ, რომელიც ანგარიშვალდებულია განათლებისა და უნარების მინისტრის, დასაქმების, საწარმოთა და ინოვაციების მინისტრების წინაშე. კვლევის მიზანია საშუალოვადიანი პერიოდისთვის მოთხოვნის პროგნოზირება. 2013⁹ და 2017¹⁰ წლებში ჩატარებულმა კვლევებმა შეისწავლა კომპიუტერული უნარები (მაგ. კომპიუტერული პროგრამები, კომპიუტერული პროგრამირება და მულტიმედიაური თამაშები) და ელექტრონული და ელექტრონიკის უნარები (მაგ. კომუნიკაცია, მექატრონიკა და ელექტრო/კომპიუტერული ინჟინერია). კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს სამაგიდო კვლევას, ინტერვიუებს და ინტერესებულ მხარეებთან (უცხოური და ადგილობრივი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიები და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით დაინტერესებული სხვა

⁹ Expert Group on Future Skills Needs (EGFSN) & Forfás. (2013, November). Addressing Future Demand for High-Level ICT Skills. EGFSN/Forfás. http://www.skillsireland.ie/media/04112013-addressing_ict_skills-publication.pdf

¹⁰ Expert Group on Future Skills Needs (EGFSN) & National Skills Council. (2019, March). Forecasting the Future Demand for High-Level ICT Skills in Ireland, 2017- 2022. EGFSN/National Skills Council. <http://www.skillsireland.ie/all-publications/2019/high-level-ict-skills-demand-analysis.pdf>

	<p>შეიმუშავეთ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) უნარების სამოქმედო გეგმა</p>	<p>მხარეები), სამუშაო შეხვედრებს კომპანიების, დამსაქმებელთა ინსტიტუტების, დარგობრივი ასოციაციების, საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების, კვლევითი ინსტიტუტების, ირლანდიის IDA-ს (საინვესტიციო სააგენტო) და „აწარმოე ირლანდიაში“-ის მონაწილეობით. მაღალი დონის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარებზე მოთხოვნის შესაფასებლად, გამოყენებულია მონაცემთა საერთაშორისო კორპორაციის (IDC) მიერ შექმნილი სამეწარმეო უნარების მოთხოვნის მოდელი. ჩვეულებრივ, ირლანდიის კვლევებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარების მოთხოვნის დადგენის მიზნით, ითვალისწინებენ სამ სცენარს: ჩვეულებრივი ზრდის/ყველაზე მაღალი ალბათობის სცენარი; მაღალი ზრდისა და დაბალი ზრდის სცენარი.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის¹¹ (ILO) თანახმად, მზარდმა ეკონომიკებმა, როგორცაა კორეის რესპუბლიკა და სინგაპური, შეიმუშავეს მომავალზე ორიენტირებული უნარების სტრატეგიები და შედარებით მოკლე დროში მიაღწიეს მნიშვნელოვან შედეგებს. ➤ 2016 წელს, განვითარებისა და გარდამავალი ქვეყნების გამოწვევებზე რეაგირების მიზნით, უნარ-ჩვევების შესაბამისობისა და მოლოდინის სფეროში, ILO- მ, ETF- მა და Cedefop- მა ძალებისა და ინსტიტუციონალური გამოცდილების გაერთიანებით გამოაქვეყნეს უნარების მოსალოდნელი მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების კრებული¹². კრებული გამოიცა ექვს ტომად: <ul style="list-style-type: none"> ○ შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის გამოყენება ○ უნარების პროგნოზირება, სცენარების და მოლოდინების დადგენა ○ სექტორის დონეზე მუშაობა ○ დასაქმების სამსახურების როლი ○ როგორ დავგეგმოთ და ჩავატაროთ მოთხოვნილი უნარების კვლევა ○ კვლევები კურსდამთავრებულთა შორის <ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიის, მთავრობისა და განათლების სექტორის ერთობლივი ძალისხმევით, შემუშავდეს საშუალოვადიანი (4 წლიანი) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარების სამოქმედო გეგმა. ამ დოკუმენტში უნდა აისახოს საშუალოვადიანი პერიოდის პრიორიტეტული მიმართულებები და განხორციელების ვადები, აგრეთვე ფინანსური რესურსები, პასუხისმგებელი ინსტიტუტები და მიწოდების ვადები. <p>საუკეთესო პრაქტიკა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ 2012 წლიდან ირლანდიაში ხორციელდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარების 4-წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება¹³ და განხორციელება. ეს გეგმები მზადდება განათლებისა და უნარების სამინისტროსა და დასაქმების, საწარმოთა და ინოვაციების სამინისტროების თანამშრომლობით, აგრეთვე იმ სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით, როგორცაა უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანო
--	--	---

¹¹ Anticipating and matching skills and jobs. (2015, November 5). https://www.ilo.org/skills/areas/skills-training-for-poverty-reduction/WCMS_534307/lang--en/index.htm

¹² Skills needs anticipation. (2016, November 7). https://www.ilo.org/employment/Whatwedo/Projects/WCMS_534345/lang--en/index.htm

¹³ Department of Education and Skills. Technology Skills 2022 | Ireland’s Third ICT Skills Action Plan. <https://www.education.ie/en/Publications/Policy-Reports/technology-skills-2022.pdf>

	<p>პროგრამების გაუმჯობესება უცხოელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიონალების მოსაზიდად</p>	<p>(HEA), საინვესტიციო სააგენტო (IDA), აწარმოე ირლანდიაში (EI), სამეწარმეო უნარებისა და კვალიფიკაციის ეროვნული პოლიტიკის მრჩეველთა ორგანო (FORFAS) და სამეცნიერო ფონდი ირლანდია (SFI). უფრო მეტიც, პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მრეწველობის წარმომადგენლები. დოკუმენტს ხელს აწერენ განათლებისა და უნარების და დასაქმების, საწარმოთა და ინოვაციების მინისტრები. გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული ქმედებები ემყარება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარების მოთხოვნაზე ჩატარებულ კვლევებს, ხოლო სამოქმედო გეგმა ასევე განსაზღვრავს სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და მოქმედებებს. იგი ასახავს მოქმედებებს/ამოცანებს, მის შესრულებაზე პასუხისმგებელ წამყვან ინსტიტუტებს, წარმატების კრიტერიუმებს/შედეგებს, ვადებს და ინფორმაციას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიიდან.</p> <ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უცხოელი სპეციალისტების მოზიდვისა და დასაქმების შესაძლებლობების შექმნა საქართველოსთვის მისაღები მოკლევადიანი და საშუალოვადიანი გამოსავალი იქნება. გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი კომპლექსური და მრავალფეროვანი მხარდაჭერის საშუალებები, როგორც ესტონეთსა და ირლანდიაში. ამ სფეროში საქართველოს მთავრობისა და კერძო სექტორის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს სამუშაო ძალის ამყარებულ საჭიროებებს და ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილ სამომავლო მოთხოვნებს. ამ მიმართულებით საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოს კარგი პოზიცია აქვს: მას მიმზიდველი ბიზნესი და საინვესტიციო გარემო გააჩნია, წარმოადგენს პოპულარულ ტურისტულ ქვეყანას, აქვს იაფი და მიმზიდველი სამუშაო და საცხოვრებელი გარემო, აგრეთვე კარგი წვდომა ევროკავშირთან, დსთ-სთან და არაბეთის ქვეყნებთან. <p>საუკეთესო პრაქტიკა</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ესტონეთში მოქმედი კომპანიებისთვის, რომელთაც სურთ უცხოელი მოქალაქეების დაქირავება, „აწარმოე ესტონეთში“ (Enterprise Estonia) ახორციელებს პროგრამას სახელწოდებით „იმუშავე ესტონეთში“. პროგრამის მიზანია, 2020 წლის ბოლოსთვის ესტონეთში 2000 უცხოელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის მოზიდვა. პროგრამა მოიცავს შემდეგ ელემენტებსა და მომსახურებას: <ul style="list-style-type: none"> ✓ ესტონეთის საერთაშორისო სახლი - სერვისცენტრი, რომელიც დაინტერესებულ დამსაქმებლებსა და პოტენციურ უცხოელ თანამშრომლებს ინფორმაციითა და კონსულტაციებით უზრუნველყოფს; ✓ „იმუშავე ესტონეთში“ (WorkinEstonia) პორტალი - თავაზობს სიტუაციის მიმოხილვასა და ინფორმაციას, როგორც უცხოელი სპეციალისტებისთვის, ისე ესტონელი დამსაქმებლებისთვის; ✓ უცხო ქვეყნიდან კადრების მოზიდვის საგრანტო პროგრამა - მხარს უჭერს დამსაქმებლებს და ანაზღაურებს საზღვარგარეთ კადრების მოძებნის ხარჯებს; ✓ დამსაქმებელთა სამუშაო შეთავაზებების გამოქვეყნება „იმუშავე ესტონეთში“ (WorkinEstonia) პორტალზე, სოციალურ მედიასა და ბიულეტენებში; ✓ დამხმარე მასალების შემუშავება - "გადაადგილების სახელმძღვანელო" წიგნი, ვიდეოები ესტონეთში მუშაობის შესახებ, ესტონეთში მომუშავე უცხოელების გამოცდილების ანალიზი; ✓ სახელმძღვანელო მითითებები უცხოელთა დასაქმების შესახებ; ✓ სამიზნე ბაზრებზე დამსაქმებლებთან თანამშრომლობით კადრების მოზიდვისკენ მიმართული კამპანიები;
--	--	---

	<p>ინოვაციური ინიციატივებისა და ინსტიტუციების ამოქმედება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ საერთაშორისო ღონისძიებებზე ერთობლივი სტენდების მოწყობა; სახელწოდებით „იმუშავე ესტონეთში“; ✓ უცხოელი სპეციალისტების მეუღლეების კონსულტირება კარიერულ საკითხებთან დაკავშირებით. <p>➤ Tech/Life Ireland წარმოადგენს ეროვნულ ინიციატივას, რომლის მიზანია, რომ ირლანდია გახდეს ტექნოლოგიური კარიერის დასაწყებად მიმზიდველი დანიშნულების ადგილი. პროგრამას ავინანსებს დასაქმების, საწარმოთა და ინოვაციების სამინისტრო, ხოლო მას ახორციელებს ირლანდიის განვითარების სააგენტო „აწარმოე ირლანდიაში“ (Enterprise Ireland), საინვესტიციო სააგენტო (IDA Ireland) და ზოგადად ქვეყნის ტექნოლოგიური ინდუსტრია. თავიდან პროგრამა მიზნად ისახავდა 40 000 ტექნოლოგიების სპეციალისტის მოზიდვას 5 წლის განმავლობაში. 2016-2017 წლებში, ირლანდიაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში პროფესიონალებზე მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა უცხოური „ტალანტების“ მოზიდვით. მთლიანობაში, 2016 წელს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში გაიგა 3180 დასაქმების ნებართვა, ხოლო 2017 წელს 3442 ასეთი ნებართვა.</p> <p>➤ კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს GITA–სთან თანამშრომლობით სტრატეგისტისა (Strategeist) და წამყვანი ამერიკული საინჟინრო კომპანია EPAM Systems–ის მიერ საქართველოში გახსნილი საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის მთავარი მიზანია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში კვალიფიციური კადრების რაოდენობის გაზრდა. საგანმანათლებლო ცენტრში სტუდენტები შეირჩევიან მათემატიკაში მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით. საგანმანათლებლო ცენტრი მოიცავს ხუთ პროფესიას, რომლებიც მორგებულია გლობალური ბაზრის საჭიროებებზე: front-end დეველოპერი, ASP.NET დეველოპერი, JAVA დეველოპერი, Android აპლიკაციების შემქმნელი და QA ინჟინერი. სასწავლო პროგრამა ხორციელდება EPAM–ის მასწავლებლების მიერ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად და კურსდამთავრებულებს დამთავრებისთანავე აქვთ შესაძლებლობა დასაქმდნენ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მაღალანაზღაურებად პოზიციებზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს სჭირდება სახელმწიფო-კერძო სექტორის ფორმატში ახალი ინიციატივების შემუშავება და განხორციელება, რათა გააუმჯობესოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში განათლების ხარისხი და შესაძლებელი გახდეს ამ ბაზარზე მოთხოვნილი უნარების დაკმაყოფილება. სამხრევი ინიციატივით, საჯარო სექტორის, კერძო სექტორისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით, უნდა შეიქმნას მექანიზმები და პლატფორმები საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის ახლანდელი და სამომავლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. <p>საუკეთესო პრაქტიკა</p> <p>➤ სინგაპურის ტექნიკური უნარების სწრაფი განვითარების პროექტი მედიის განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი ინიციატივაა, რომელიც ხორციელდება სტრატეგიული პარტნიორობით სინგაპურის სახელმწიფო დასაქმების სააგენტოს, სინგაპურის მომავლის უნარებისა (Skills Future) და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიის წარმომადგენელთა შორის თანამშრომლობით. პროგრამის მიზანია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობა ინდუსტრიის საჭიროებების შესაბამისად პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მხარდაჭერის გზით. პროგრამა განკუთვნილია, როგორც სამსახურის მაძიებელთათვის (საინფორმაციო-</p>
--	--	--

		<p>საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კურსდამთავრებულები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს პროფესიონალები და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მუშაობის დაწყების მსურველი არაპროფესიონალი სპეციალისტები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლების მქონე და არმქონე სპეციალისტები) ისე დამსაქმებელთათვისაც (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და არასაინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიები).</p> <p>პროექტს აქვს შემდეგი მიმართულებები:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ <u>Company-Led Training (CLT) Programme</u> ✓ <u>CrITical Infocomm Technology Resource Programme Plus (CITREP+)</u> ✓ <u>Professional Conversion Programme (PCP) for the ICT Sector</u> ✓ <u>SkillsFuture Earn and Learn Programme (ELP)</u> ✓ <u>Skills Framework for Infocomm Technology (ICT)</u> ✓ <u>SkillsFuture Study Award for the ICT Sector</u> ✓ <u>Tech Immersion and Placement Programme (TIPP)</u> ✓ <u>TeSA pilot immersive</u>
<p>საჯარო დაწესებულებების მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტებისა და მომსახურების უმეტესი ნაწილის შიდა განვითარება</p>	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტის განვითარების მოდელის ხელახლა განიხილვა საჯარო სექტორში მეტი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტის და მომსახურების შესყიდვის, ასევე გაზრდილი საბიუჯეტო რესურსების გამოყოფის მიზნით.</p>	<ul style="list-style-type: none"> • საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის დაწყება შესაბამისი სამინისტროების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჯგუფების, ბიზნეს ასოციაციებისა და დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტებისა და მომსახურების დასადგენად, რომელთა აუთოსორსინგი – და შესყიდვა შესაძლებელია სახელმწიფო ტენდერების საშუალებით. • საჯარო სექტორის თანამშრომლების დასაქმების მოქნილი სქემები; იმისათვის, რომ არ მოხდეს ნიჭიერი და მცოდნე ადამიანების საჯარო სექტორის სამსახურებიდან სხვაგან გადასვლა, რეკომენდირებულია დასაქმების მოქნილი სქემების შემუშავება. კერძოდ, სამთავრობო უწყებებმა უნდა უზრუნველყონ მათი თანამშრომლების საქმიანობა უფრო მოქნილი, შედეგზე ორიენტირებული პირობებით, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. <p>საუკეთესო პრაქტიკა</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ სახელმწიფო შესყიდვები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიის განვითარებაში. UNCTAD–ის თანახმად, განვითარებად ქვეყნებში ადგილობრივი ბაზრისთვის მომსახურების მიწოდება ადგილობრივი საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საწარმოების საქმიანობის საწყისი წერტილია, ხოლო ქვეყნის მთავრობა ხშირად გვევლინება სახელმწიფო-კერძო სექტორის ფორმატში სერვისების ერთ–ერთ მსხვილ შემსყიდველად. ამიტომ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვისების შესყიდვამ სახელმწიფო სექტორის მხრიდან შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს ადგილობრივი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურების ინდუსტრიის¹⁴ განვითარებაზე. UNCTAD–ის მიხედვით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიებს საზოგადოებრივ ტენდერებში მონაწილეობის მრავალი შესაძლებლობა აქვთ, განსაკუთრებით შემდეგ სფეროებში: <ul style="list-style-type: none"> ✓ პროექტები, რომლებიც მოითხოვს ადგილობრივი ენის ცოდნას, ადგილზე ყოფნას და ადგილობრივი

¹⁴ United Nations Conference on Trade And Development (UNCTAD). (2013). *Promoting Local IT sector Development through Public Procurement*. <https://unctad.org/es/node/27006>

		<p>და უცხოური კომპანიების პარტნიორობას;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სისტემის ინტეგრაციასთან დაკავშირებული კონტრაქტები ✓ სპეციფიკური საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები ✓ ახალი ღირებულების კონტრაქტები <p>➤ 2008 წელს სინგაპურმა სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობის ფორმატში 768 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საინფორმაციო სისტემები შეიძინა. შესაბამისად, სინგაპურის მთავრობა ფლობს შინაარსს, განსაზღვრავს მომსახურების სტანდარტებსა და ხარისხის ინდიკატორებს, უკვეთავს საქმიანობას დამოუკიდებელ აუდიტს და ამ მომსახურების ღირებულებას თვითონ ანაზღაურებს, ხოლო კერძო სექტორის მომწოდებლებს (პროვაიდერები) ევალებათ ჰოსთინგის ორგანიზება, ისინი იხდიან კაპიტალურ და საოპერაციო ხარჯებს და თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას მომსახურების ხარისხზე. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებით, სინგაპურის მთავრობამ მხარი დაუჭირა ადგილობრივ საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიებს უახლესი გადაწყვეტილებების მიღებაში, ხოლო შემდგომ ეტაპზე, ხელი შეუწყო ამ პროდუქტების პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე მთავრობათაშორისი თანამშრომლობის პლატფორმების მეშვეობით. რამდენიმე კომპანიამ, როგორცაა CrimsonLogic, IDA International, NCS, novaCITYNETS და Ecquaria, სწორედ ამ დროს დაიწყო საქმიანობა და საერთაშორისო დონის მოთამაშე გახდა.</p> <p>➤ ავსტრალიის მთავრობის ინიციატივებისა და მეცნიერების ეროვნული სამსახურის დღის წესრიგი ითვალისწინებს ციფრული ბაზრის განვითარებასა და სტანდარტიზაციას, გარდა ამისა, მთავრობის მიერ შესაძენი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტებისა და მომსახურების კომპონენტებად დაყოფას იმისათვის, რომ ადგილობრივ საინფორმაციო-ტექნოლოგიების კომპანიებს გაუადვილდეს მასში მონაწილეობა. ავსტრალიის მთავრობა ყოველწლიურადსაშუალოდ 5 მილიარდ აშშ დოლარს ხარჯავს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე.</p>
<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში კოორდინაციის ნაკლებობა</p>	<p>სხვადასხვა უწყებების მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში სპეციალიზირებული კომპანიების საქმიანობის მიზნობრივი დახმარებიდან სექტორის</p>	<p>აღნიშნული სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარების ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, გრძელვადიანი ხედვისა და დეტალური საშუალოვადიანი სტრატეგიის ჩათვლით. სამოქმედო გეგმაში ჩამოთვლილი უნდა იყოს დეტალური მოქმედებები და ღონისძიებები სტრატეგიული მიზნების შესაბამისად¹⁵.</p> <p>დოკუმენტზე მუშაობისას ძირითადი მოსაზრებები, როგორც დონორების, ისე კერძო სექტორის როლის მკაფიოდ ჩამოყალიბების მიზნით არის შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> • აუცილებელია პასუხისმგებლობების მკაფიოდ დიფერენცირება სამთავრობო უწყებებს შორის, რომლის

¹⁵ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „კომუნიკაციების, ინფორმაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების“ დეპარტამენტის ხელმძღვანელობით, საგანგებოდ შექმნილმა სამთავრობო სამუშაო ჯგუფმა უკვე დაიწყო მუშაობა პროექტზე „ციფრული საქართველო“, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარების ეროვნულ სტრატეგიას. სამინისტროს განცხადებით, პროცესი მოიცავს სექტორის ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს. გარდა ამისა, ამ დოკუმენტს დაემატება ემგს-ს "საქართველოში ფართოზოლიანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია და განხორციელების გეგმა" და სხვა შესაბამისი სექტორული სამოქმედო გეგმები.

<p>(საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარებისკენ მიმართული ხედვა)</p>	<p>კომპლექსური სტრატეგიის განხორციელებაზე გადასვლა</p>	<p>მიხედვითაც თითოეული უწყებას/ერთეულს სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიენიჭება პასუხისმგებლობათ კონკრეტულ საქმიანობაზე, მათი ძირითადი კომპეტენციების გათვალისწინებით;</p> <ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოფილი უნდა იყოს მკაფიო კომუნიკაცია დონორ ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან თითოეული სახელმწიფო ერთეულისა და სააგენტოს პასუხისმგებლობის შესახებ; • უნდა ჩატარდეს რეგულარული (წლიური ან ნახევარწლიური) სამუშაო შეხვედრები კერძო სექტორთან და დონორ ორგანიზაციებთან, სადაც შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან და უწყებებთან ერთად მოხდება დაგეგმილი საქმიანობის მიმდინარეობის განხილვა <p>საუკეთესო პრაქტიკა</p> <p>წარმატებული უწყებათაშორისი თანამშრომლობის ჩარჩო:</p> <p>ახალი ზელანდიის სახელმწიფო სერვისების კომისიამ შეიმუშავა სახელმწიფო უწყებების კოორდინაციის ეფექტური სტრუქტურა ¹⁶, რომელიც ყურადღებას ამახვილებს წარმატების ცხრა ფაქტორზე შემდეგი სამი ურთიერთდაკავშირებული მიმართულების გათვალისწინებით: მანდატი, სისტემები და ქცევა. ამ სამი განზომილების შეჯამება შემდეგნაირად შეიძლება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ მანდატი: წარმატებული თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ლიდერებმა ხაზი უნდა გაუსვან ეფექტური კოორდინაციის მნიშვნელობას და მზად უნდა იყვნენ იმისათვის, რომ ეს საქმიანობა გახდეს მთავრობის კოორდინირებული საქმიანობის პრიორიტეტი. შესაბამისი საჯარო მოხელეები ერთობლივად უნდა შეთანხმდნენ მკაფიოდ განსაზღვრული საერთო ძალისხმევის სასურველ შედეგზე. ➢ სისტემები: წარმატებული თანამშრომლობის, შესაბამისი მმართველობისა და ანგარიშგაღებულულების უზრუნველსაყოფად, უნდა შეიქმნას შესაბამისი სტრუქტურები და გასაგებად უნდა გაიწეროს თითოეული სააგენტოს პასუხისმგებლობა და მონაწილეობა. საჭირო ამოცანების შესასრულებლად უნდა არსებობდეს საკმარისი და შესაბამისი რესურსი და სისტემები, ისევე როგორც საქმიანობის შეფასების ეფექტური პროცესი. ➢ ქცევა: წარმატებული თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, შესაბამის უწყებებს უნდა წარმოადგენდნენ ისეთი საჯარო მოხელეები, რომლებსაც გააჩნიათ უწყებათაშორისი თანამშრომლობისთვის შესაბამისი უფლებამოსილება და კომპეტენცია. ჯგუფში აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო ლიდერობა, ხელმძღვანელობა და ყველა სააგენტოში უნდა იყოს კოორდინირებული მუშაობისათვის აუცილებელი ხელშემწყობი კულტურა.
<p>დიגיტალიზაციისა და ინოვაციების მნიშვნელობების შესახებ საქართველოს</p>	<p>მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების</p>	<ul style="list-style-type: none"> • ისეთი საერთაშორისო და ადგილობრივი საუკეთესო მაგალითების იდენტიფიცირება, სადაც აშკარად ჩანს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოზიტიური გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ამ მაგალითების ანალიზზე დაყრდნობით, საინფორმაციო ბროშურების მომზადება. • მცირე და საშუალო ბიზნესის მარტივი თეორიული სახელმძღვანელოს შემუშავება GITA-ს მიერ, EG-სთან

¹⁶ State Services Commission - New Zealand Government. (2008, February). Factors for Successful Coordination - A Framework to Help State Agencies Coordinate Effectively (ISBN 978-0-478-30327-8). State Services Commission. https://www.publicservice.govt.nz/assets/Legacy/resources/Factors-publication_0.pdf

<p>კერძო სექტორის ინფორმირებულობის ნაკლებობა</p>	<p>მნიშვნელობის თემაზე ცნობიერების ამაღლების ეფექტური კამპანიების ორგანიზება</p>	<p>თანამშრომლობით. სახელმძღვანელო მონაწილეებს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მათი პროდუქტებისა და მომსახურების საინფორმაციო ტექნოლოგიებთან ინტეგრაციის პოტენციური სარგებლის შესახებ. ასეთი ინტეგრაციის მაგალითებია ელექტრონული კომერციული საქმიანობა, ფინანსური მენეჯმენტის ავტომატიზაცია ან სოციალური ქსელების გამოყენება მარკეტინგისათვის.</p> <ul style="list-style-type: none"> • GITA-ს და EG-ს ყველა ბენეფიციართან საკონსულტაციო სესიების გამართვა მათი პროგრამების უკვე არსებული ტრენინგების ფარგლებში. ტრენინგები უნდა დაეფუძნოს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შემუშავებულ სახელმძღვანელოს. • GITA–მშეიმუშაოს და ჩაატაროს სპეციფიკური ტრენინგები კომპანიებისთვის, რაც მიზნად დაისახავს კერძო სექტორის ინფორმირებას მათი პროდუქტების ან მომსახურებების საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორთან ინტეგრირების შედეგად გაჩენილი შესაძლებლობების შესახებ. ტრენინგები უნდა ჩატარდეს არა მხოლოდ თბილისში, არამედ GITA–ს რეგიონურ ტექნიკურ პარკებსა და ინოვაციურ ცენტრებში. • ინფორმაციის გავრცელების მიზნით როგორცაა ტრენინგის მასალები, სახელმძღვანელოები შესაბამისი ლიტერატურით და ვიდეოები. გამოყენებული უნდა იქნეს ან უკვე არსებული ონლაინ პლატფორმები, ან შეიქმნას ახალი პლატფორმები. <p>საუკეთესო პრაქტიკა¹⁷</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ფინეთის EASKEL პროგრამა ითვალისწინებდა 2-5 დღიან კონსულტაციებს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მოწვეულ ექსპერტებთან. ამავე დროს, ფინეთის მთავრობა კონსულტაციის ხარჯების 85%-ს აფინანსებდა. ➢ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა სახელმძღვანელო ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, სახელწოდებით "დამემარება თუ არა საინფორმაციო ტექნოლოგიები ჩემი ბიზნესის გაუმჯობესებაში?"¹⁸ ➢ AUSE.NET-ი-ეს იყო ავსტრალიური პლატფორმა, რომელმაც შეიმუშავა სამსაათიანი სემინარები, რომლებიც ეხმარებოდა მცირე და საშუალო ბიზნესს იმის გაცნობიერებაში, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ბიზნესისა და ელექტრონული კომერციის გამოყენება. ვებ გვერდზე ასევე მითითებული იყო კომპიუტერის შექმნის, ინტერნეტთან დაკავშირებისა და ვებ გვერდის შექმნის მითითებები, ასევე სხვადასხვა ანგარიში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით. ➢ ნიდერლანდებში, Go Digital-მა მხარი დაუჭირა სავაჭრო ორგანიზაციებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის შემუშავებაში წევრებს შორის ინტერნეტისა და ელექტრონული კომერციის დანერგვის წახალისების მიზნით. ეროვნული ფილიალები, 250 კონსულტანტის მეშვეობით ეხმარებოდა მცირე და საშუალო საწარმოებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის სამოქმედო გეგმების მომზადებასა და განხორციელებაში. ➢ შვედეთის SVEA პროგრამა მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას ელექტრონული ვაჭრობის
---	--	---

¹⁷ OECD (2004), "ICT, E-Business and Small and Medium Enterprises", OECD Digital Economy Papers, No. 86, OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/232556551425>.

¹⁸ International Development Research Centre (IDRC).. *Can ICTs help me improve my business? A brief handbook for micro and small entrepreneurs from Latin America and the Caribbean.* <https://www.oitcenterfor.org/sites/default/files/canictshelp.pdf>

	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობა სხვადასხვა სექტორსა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორს შორის თანამშრომლობის ვაუჩერების სისტემის შექმნის გზით</p>	<p>კომერციული შესაძლებლობების შესახებ, აგრეთვე იმას, თუ როგორ შეიძლება ელექტრონული ბიზნესის გამოყენება ბიზნესპროცესის სხვადასხვა ნაწილში. იგი მოიცავდა სემინარებს, საინტერესო მაგალითების განხილვას და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმწოდებლებთან ურთიერთობის შესაძლებლობას.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გაერთიანებული სამეფოს „ონლაინ ბიზნესებისთვის“ პროგრამა განხორციელდა მთავრობისა და მეწარმეთა თანამშრომლობის ფორმატში, რამაც ხელი შეუწყო და დაეხმარა დიდი ბრიტანეთის ბიზნესებს გაუმჯობესებინათ თავიანთი საქმიანობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების შედეგად. პროგრამა მოიცავდა საქმიანობის თანმიმდევრულ ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავდა ელექტრონული ბიზნესის პოტენციური სარგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და კონკრეტულ რჩევებს, ასევე ხელს უწყობდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებას ეროვნული ქსელის 70-ზე მეტი ცენტრის საშუალებით. • დიגיტალიზაციის ხელშეწყობა, ციფრული ვაუჩერის სქემების შემუშავება და დანერგვა, ხელს უწყობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ღირებულების ჯაჭვსა და ეკონომიკის სხვა დარგებს შორის სტრატეგიულ თანამშრომლობას (მაგალითად, რესტორნების და კაფეების მომსახურება). ესტონეთში ინოვაციების ვაუჩერის სქემა მცირე და საშუალო ბიზნესს საშუალებას აძლევს, შეიმუშაოს განვითარებისათვის აუცილებელი ინოვაციური გადაწყვეტილებები და დააგროვოს ცოდნა ტექნოლოგიების შესახებ. ამასთანავე, ცვლილებების განსახორციელებლად ბენეფიციარებს ექსპერტების რჩევებით სარგებლობის შესაძლებლობაც ეძლევათ. მხარდამჭერი საქმიანობა მოიცავს კონსულტაციებს პროდუქტისა და მომსახურების განვითარების, წარმოებისა და ტექნოლოგიური საკითხების, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და ეკონომიკური სარგებლიანობის კვლევების ჩატარებაზე, აგრეთვე ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და განხორციელებაზე¹⁹. დახმარების მიღების მიზნით მიმართვისას, მეწარმეებმა უნდა განსაზღვრონ საკუთარი ბიზნესის განვითარებაში არსებული პრობლემა, რომლის გადალახვაც შესაძლებელია ექსპერტთა რჩევებით და/ან ტექნოლოგიების საშუალებით. შემდეგ ეტაპზე, მეწარმე წინასწარ შედგენილი სიიდან ირჩევს პარტნიორს თანამშრომლობისთვის, აყალიბებს პროექტის გეგმას შერჩეულ პარტნიორთან ერთად, ავსებს განაცხადის ფორმას და აზარებს ელექტრონულ განაცხადს „აწარმოე ესტონეთში“-ის (Enterprise Estonia) ელექტრონულ პორტალზე. <p>მოკლე და საშუალოვადიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ციფრულ გამოწვევებზე საპასუხოდ შეიძლება მოიცავდეს: (1) სპეციალურ საგრანტო სქემებს ჭკვიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და ადაპტაციისთვის; (2) ინოვაციური ვაუჩერების სქემებს, რომლებიც განკუთვნილია ტურიზმის (და სხვა) სექტორის ღირებულების ჯაჭვის მონაწილეებისთვის, დახმარებას უწევს ონლაინ კონტენტის შექმნაში, განვითარების ხარჯების დაფარვასა და ჭკვიანი გადაწყვეტილებების მიღებაში. ინოვაციური ვაუჩერების საშუალებით ტურიზმის (და სხვა) სექტორის კომპანიებს შეუძლიათ დახმარების მიზნით, დაიქირავონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიები ან დამოუკიდებელი პროფესიონალები,</p>
--	---	---

¹⁹ Innovation voucher. (2021, March 16). EAS. <https://www.eas.ee/teenus/innovation-voucher/?lang=en>

		ხოლო ვაუჩერების დაფინანსება მოხდება სახელმწიფოს მიერ და გადახდა განხორციელდება უშუალოდ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვისების მომწოდებლებისთვის.
--	--	---

ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი

პოლიტიკის გამოწვევა	პოლიტიკის დონეზე განსახორციელებელი ცვლილება	შემოთავაზებული აქტივობა
კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტი	სამინისტროებს, საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის კერძო სექტორის კომპანიებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და უნარების მოთხოვნისა და შესაბამისობის სისტემების შემუშავება და ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების შექმნა.	<ul style="list-style-type: none"> • თანამშრომლობისა და კოორდინაციის განმტკიცება სამინისტროებს, საგანმანათლებლო პროგრამების მომწოდებლებს (მაგ. უნივერსიტეტებს, პროფესიული კოლეჯებს და სასწავლო ცენტრებს), კერძო კომპანიებსა და დონორ ორგანიზაციებს შორის. უნარების სააგენტო შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების პლატფორმა. • შემუშავდეს მოსალოდნელ (მომავლის) უნარებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების სისტემები²⁰ არქიტექტურის, დიზაინის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების მართვის სფეროების ჩათვლით: <ul style="list-style-type: none"> ○ ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის კერძო სექტორის კომპანიებთან არქიტექტურისა და დიზაინის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების მართვის სფეროებში მოთხოვნილი უნარების განხილვა²¹; ○ გრძელვადიანი პროგნოზირების მიდგომის დანერგვა (გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავება სამომავლო მოთხოვნილებებისა და უნარების მიწოდების თემაზე)²²; ○ მომავლის უნარ-ჩვევების დადგენისა და დაგეგმვის მიზნით, პოტენციური მონაწილეების, კერძოდ, სტატისტიკის სამსახურების, დასაქმების სააგენტოების, კვლევითი და არასამთავრობო ორგანიზაციების, დარგობრივი ასოციაციებისა და ასევე უნარ-ჩვევების სააგენტოების ჩართვა. ○ უფრო მეტად მორგებული სასწავლო პროგრამების შემუშავება არქიტექტურასა და დიზაინში, ფინანსებსა და ადამიანური რესურსების მართვაში, რაც გულისხმობს, ○ ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის კერძო სექტორის კომპანიების უფრო აქტიურ თანამშრომლობასა და ჩართულობას უნივერსიტეტებსა და პროფესიული კოლეჯების არქიტექტურისა და დიზაინის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დროს საჭირო უნარ ჩვევებზე

²⁰ ახალი უნარები ახალი საქმიანობისთვის [New Skills for New Jobs], ევროკომისია, 2010.

²¹ International Labour Organization. (2019). Skills shortages and labour migration in the field of information and communication technology in India, Indonesia and Thailand (ISBN: 978-92-2-133280-0). Document and Publications Production, Printing and Distribution Branch (PRODOC) of the ILO. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---sector/documents/publication/wcms_710031.pdf ; NESsT. (2017). Closing the Skills Gap in Poland: Leveraging the Promise of Social Enterprise and the BPO Industry (ISBN 978-1-930363-49-6). JPMorgan Chase Foundation. https://static1.squarespace.com/static/58d072963e00bea07a2ca2da/t/59a03b643e00be724a576095/1503696845527/2017_ENG_Closing_the_Skills_Gap_in_Poland.pdf

²² Bartlett, W. (2012). KILLS ANTICIPATION AND MATCHING SYSTEMS IN TRANSITION AND DEVELOPING COUNTRIES CONDITIONS AND CHALLENGES. European Training Foundation - ETF. https://www.etf.europa.eu/sites/default/files/m/84E964F6CBD16532C1257AAD0038EC27_Skills%20matching%20systems.pdf

		<p>მოთხოვნასა და მათ მიწოდებას შორის განსხვავების შემცირების/აღმოფხვრის მიზნით;</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტებსა და პროფესიულ კოლეჯებში არქიტექტურის, დიზაინის, ფინანსებისა და ასამიანური რესურსების მართვის სექტორებში არსებული სასწავლო პროგრამების განახლება უნარ-ჩვევების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის განსხვავების შემცირების/აღმოფხვრის მიზნით. საერთაშორისო ბაზრების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სწავლის პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების სწავლების ჩათვლით; ○ კერძო სექტორის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა არქიტექტურისა და დიზაინის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების მართვის პროგრამების შემუშავების პროცესში; ○ კერძო სექტორის კომპანიების დახმარება სასწავლო პროგრამების აკრედიტაციაში; ○ პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არქიტექტურისა და დიზაინის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების მართვის ფაკულტეტების პედაგოგთა უზრუნველყოფა უწყვეტი ტრენინგებით; ○ უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა არქიტექტურისა და დიზაინის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების მართვის ფაკულტეტების სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლის გზით. <p>საუკეთესო პრაქტიკა</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ILO–მ შეიმუშავა უნარების შეუსაბამობის გაზომვის, უნარების შეფასებისა და პროგნოზირების სისტემებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები.²³ ქვეყნის მიმდინარე და სამომავლო უნარების საჭიროებების შეფასებისას საუკეთესო პრაქტიკად ითვლება, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივ მონაცემთა წყაროების გამოყენება (ILO, 2015; OECD, 2016)²⁴. ➢ კანადის დასაქმების პროგნოზირების სისტემა (COPS) განსაზღვრავს მომავალი ბაზრის პოტენციურ დონეს, მის შემადგენლობას, სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და სამუშაო ძალის მიწოდების წყაროებს, შრომის ბაზრის პოტენციური დისბალანსის თავიდან აცილების მიზნით, იგი ყურადღებას ამახვილებს პროფესიებსა და უნარებზე. შრომის ბაზრის ათწლიანი დეტალური პროგნოზები ქვეყნდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ კანადის დასაქმებისა და სოციალური განვითარების სააგენტოს მიერ (ESDC). შრომის ბაზრის პროგნოზირების კანადური მოდელი ამ სფეროში ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად არის აღიარებული.²⁵ ➢ შეერთებული შტატების შრომის სტატისტიკის ბიურო (BLS) ახორციელებს დასაქმების სექტორის პროგნოზირებას ყოველ ორ წელიწადში ერთხელ თავისი „დასაქმების პროგნოზების“ (EP) პროგრამის საშუალებით²⁶.
--	--	--

²³ ILO & OECD. (2018). Approaches to anticipating skills for the future of work. <https://bit.ly/2Uu6lvm>
²⁴ ILO & OECD. (2018). Approaches to anticipating skills for the future of work. <https://bit.ly/2Uu6lvm>
²⁵ ILO & OECD. (2018). Approaches to anticipating skills for the future of work. <https://bit.ly/2Uu6lvm>
²⁶ ILO & OECD. (2018). Approaches to anticipating skills for the future of work. <https://bit.ly/2Uu6lvm>

<p>საქართველოს აღიარება ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის მიმწოდებელი MNC-ებს შორის</p>	<p>საქართველოს, როგორც ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის ბრენდის, ცნობადობის გაზრდა და ინვესტიციების წახალისება</p> <p>საქართველოს, როგორც BPO ბრენდის, ცნობადობის გაზრდა და ინვესტიციების წახალისება</p>	<ul style="list-style-type: none"> • გაუმჯობესდეს საქართველოს საინვესტიციო გარემოს აღიარება: <ul style="list-style-type: none"> ○ საქართველოს საინვესტიციო გარემოს ძლიერი მხარეების პოპულარიზაცია პოტენციურ ინვესტორებს შორის (პოტენციურ ინვესტორებთან უფრო აქტიური კომუნიკაცია ინფრასტრუქტურის, სამუშაო ძალისა და უძრავი ქონების ბაზრის მდგომარეობის საკითხებთან დაკავშირებით); ○ საქართველოს საინვესტიციო კლიმატის მდგრადობის აქტიური პოპულარიზაცია ბიზნეს-მრჩეველ კომპანიებს შორის (რომლებიც მხარს უჭერენ ინვესტორებს, აირჩიონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ადგილები); ○ საუკეთესო პრაქტიკის რეკლამირება საქართველოში ფინანსების, ადამიანური რესურსების მართვის, არქიტექტურისა და დიზაინის, აგრეთვე სატელეფონო მომსახურების სფეროში მოღვაწე წარმატებული პროფესიონალების-ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის კომპანიების რეკლამირების გაზრდით. • ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის კომპანიებისთვის ინვესტიციის წახალისების უზრუნველყოფა. რადგან ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის მიმწოდებელი კომპანიები ინვესტიციებზე არიან დამოკიდებული, ასეთი წახალისება მოახდენს საქართველოში ამ სექტორის სტიმულირებას.
---	--	---

ელექტრონული კომერცია

<p>რამდენიმე მიმწოდებლისგან სხვადასხვა პროდუქტისა და მომსახურების შექმნის საჭიროება ელექტრონული კომერციული საქმიანობის დასაწყებად და ფუნქციონირებისთვის (პროცესი შრომატევადი და ძვირია)</p>	<p>სხვადასხვა სერვისის პროვაიდერების მიერ მოწოდებული სხვადასხვა მომსახურების კონსოლიდაციის მხარდაჭერა</p>	<p>კომპანიებმა, რომლებიც ელექტრონულ ფორმატში იწყებენ კომერციულ საქმიანობას, უნდა შეიძინონ და აამოქმედონ ონლაინ-მაღაზიის პროგრამული უზრუნველყოფა, ჰოსტინგის სერვისები, უსაფრთხოების ინსტრუმენტები, სარეზერვო ასლები, გადაზიდვის პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემების და სისტემის სერვისების ინტეგრაცია, გადახდის კარიბჭეები და ელექტრონული კომერციის სფეროში არსებული პროდუქტების სპეციფიკურ მახასიათებლებზე მორგებული სხვა სერვისები. აქედან გამომდინარე, აქ არსებულ კომპანიებს გარკვეული სირთულეები ექმნებათ სხვადასხვა სერვისის მიმწოდებლების ძებნასა და მათთან მოლაპარაკებების პროცესში: პროცესი შრომატევადია და ძვირი, შესაძლებელია, რომ კომპლექსური სისტემის შენარჩუნებასა და მუშაობის პროცესში გარკვეული სირთულეები გამოიწვიოს.</p> <p>ამრიგად, დახმარების ინსტრუმენტი, რომელიც მოიზიდავს სხვადასხვა სერვისის მიმწოდებლებს რესურსების გაერთიანებისა და ელექტრონული კომერციის დარგში მუშაობის დასაწყებად, შესთავაზებს საჭირო ერთიან პროდუქტს, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს ქვეყანაში ელექტრონული კომერციის განვითარებას.</p> <ul style="list-style-type: none"> • GITA-ს მიერ დამწყები და ინოვაციური ბიზნესებისთვის ადმინისტრირებული საგრანტო პროგრამები უნდა დაეხმაროს კომპანიებს, რომლებიც კომბინირებულ ან ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს/მომსახურებას გვთავაზობენ ელექტრონული კომერციის დარგში. არსებული სქემები შეიძლება შეიქმნას და გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომერციის ბიზნეს ოპერაციების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. • ელექტრონული კომერციის ვაუჩერის სქემის დანერგვა ხელს შეუწყობს კომპანიებისთვის ელექტრონული კომერციის გადაწყვეტილებების შემუშავებას. ვაუჩერი უნდა გადაეცეს კომპანიებს, რომლებიც იწყებენ ელექტრონული კომერციის ბიზნეს გეგმას და აფინანსებენ ელექტრონული კომერციის პლატფორმის შემუშავებასთან დაკავშირებული ხარჯების 50% -ს. ელექტრონული კომერციის მომსახურების მიმწოდებლებს
---	---	--

		სახელმწიფომ უნდა აუნაზღაუროს დასაშვები ხარჯების 50% მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებლები მომსახურებებს კონსორციუმის სახით აწვდიან და თავიანთი პროდუქციისა და მომსახურებისათვის ანაზღაურებას ერთიანად იღებენ.
--	--	--

დანართი I: ჩატარებული ინტერვიუების სია

	სახელი	სექტორი	პოზიცია
1	შოთა საგანელიძე	კერძო სექტორი, BPO	ადმასრულებელი დირექტორი, Base4
2	თეა რომანოვა	კერძო სექტორი, BPO	HR მენეჯერი, Majorel
3	გიორგი ხაცაკვაძე	კერძო სექტორი, BPO	პარტნიოტი/ბიზნეს პროცესების და ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორი, Nexia TA
4	გივი სართანია	კერძო სექტორი, ICT	დამფუძნებელი, Wandio
5	დავით რამიშვილი	კერძო სექტორი, ICT	დამფუძნებელი, High-Tech Solutions
6	ირაკლი გოგოლაძე	კერძო სექტორი, ICT	დამფუძნებელი, ICT i-know
7	დავით კიზირია	კერძო სექტორი, ICT	დამფუძნებელი, Innovative Systems Management
8	დავით ჯაფარიძე	კერძო სექტორი, ICT	დამფუძნებელი, Azry
9	ანატოლი მოტკინი	კერძო სექტორი, ICT	დამფუძნებელი, StrategEast
10	გიორგი ჩუგოშვილი	კერძო სექტორი, E-commerce	დამფუძნებელი, Phubber
11	ამირან შეროზია	კერძო სექტორი, E-commerce	ხელმძღვანელი, TBC Bank Ecosystems Branch
12	ანა ტაბატაძე	კერძო სექტორი, E-commerce	დამფუძნებელი, Digital Area
13	მაია ხელაძე; ნათია ნინიკელაშვილი	არა-სამთავრობო ორგანიზაცია, E-commerce	დამფუძნებლები, საქართველოს ელ. კომერციის ასოციაცია
14	მარიამ სუმბაძე	არა-სამთავრობო ორგანიზაცია, ICT	დირექტორი, ICT კლასტერი
15	ნინო სამველიძე	დონორი ორგანიზაცია, ICT	კულტურისა და ციფრული საზოგადოების პროგრამის მენეჯერი, EU
16	თამარ ბუაძე	დონორი ორგანიზაცია, E-commerce	მთავრობის შესაძლებლობათა ზრდის მიმართულების ხელმძღვანელი, USAID მმართველობა განვითარებისთვის (G4G)
17	ნათია ფარეხელაშვილი	საჯარო სექტორი, BPO	ინვესტიციების მხარდაჭერის დეპარტამენტის პორტფელის მენეჯერი, აწარმოე საქართველოში
18	ქეთი ქებულაძე	საჯარო სექტორი, ICT	ექსპორტის მიმართულების მენეჯერი
19	მარიამ ლაშხი	საჯარო სექტორი, ICT	დირექტორის მოადგილე (ყოფილი), GITA
20	ნიკოლოზ გაგნიძე	საჯარო სექტორი, ICT	თავმჯდომარე (ყოფილი), მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დანართი 2: სამუშაო ჯგუფის წევრების სია

	სახელი	პოზიცია	ორგანიზაცია
	საჯარო სექტორი		
1	ნათია ფარეხელაშვილი	ინვესტიციების მხარდაჭერის დეპარტამენტის პორტფელის მენეჯერი	აწარმოე საქართველოში
2	ქეთი ქებულაძე	ექსპორტის მიმართულების მენეჯერი	აწარმოე საქართველოში
3	დავით თავალაშვილი	ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	აწარმოე საქართველოში
4	მარიამ ლაშხი	დირექტორის მოადგილე (ყოფილი)	საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო - GITA
5	თორნიკე ჯობავა	მსოფლიო ბანკის ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის ციფრული ეკონომიკის უნარების განვითარებისთვის პროგრამის კოორდინატორი	საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო - GITA
6	ანი ვაშაყმაძე	დონორებთან ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო - GITA
7	ეკატერინე ყუბუსიძე	საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
8	გიორგი დაფქვიაშვილი	ელექტრონული კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
9	ნიკოლოზ გაგნიძე	თავმჯდომარე (ყოფილი)	მონაცემთა გაცვლის სააგენტო
10	სესილი ვერძაძე	ინოვაციური სერვისების ლაბორატორიის ხელმძღვანელი (ყოფილი)	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
	დონორები		
11	ნინო სამველიძე	კულტურისა და ციფრული საზოგადოების პროგრამის მენეჯერი	EU
12	თამარ ბუაძე	მთავრობის შესაძლებლობათა ზრდის მიმართულების ხელმძღვანელი	USAID “მმართველობა განვითარებისთვის”
	კერძო სექტორი (კომპანიები, ასოციაციები)		
13	მარიამ სუმბაძე	დირექტორი	საქართველოს ICT კლასტერი

14	მაია ხელაძე	დამფუძნებელი	საქართველოს ელექტრონული კომერციის ასოციაცია
	BPO		
15	ელენე ცომია		Georgian Service Group
16	შოთა საგანელიძე	აღმასრულებელი დირექტორი	Base 4
17	ირინა დაროვსკაია	აღმასრულებელი დირექტორი	K.Call
18	გიორგი ხაცაყვაძე	პარტნიორი/ბიზნეს პროცესების და ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორი	Nexia TA
19	რეზო ლომთათიძე	მმართველი პარტნიორი	Solveit Ilc.
20	თეა რომანოვა	HR მენეჯერი	Majorel
	ICT		
21	ნიკოლოზ ბერელიძე	დირექტორი	Innotec
22	გივი სართანია	დამფუძნებელი	Wandio
23	დავით კიზირია	დამფუძნებელი	Innovative Systems Management
24	დავით ჯაფარიძე	დამფუძნებელი	Azry
25	გვანცა ხუნაშვილი	პროექტის მენეჯერი	Embedded Lord
26	გიორგი მჟავანაძე	დამფუძნებელი	De Sou Management
27	შოთა მურცხვალაძე	მმართველი პარტნიორი	Mindworks
28	ირაკლი გოგოლაძე	დამფუძნებელი	I-Know
29	დავით ბოლქვაძე	დირექტორი	Greentest
30	გიორგი კანანაშვილი	დირექტორი	Monrem
31	გიორგი კეშელაშვილი	პარტნიორი/CEO	Boxwood
32	ზურა თუთბერიძე	პარტნიორი/CEO	Embedded Lord
33	დავით რამიშვილი	დამფუძნებელი	High-Tech Solutions
34	გიორგი ტარიელაშვილი	დირექტორი	Mobility

დანართი 3: სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ თითოეულ სექტორში არსებული გამოწვევების შეფასება

BPO

გამოწვევა	ქულა
კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.	3.64 (ყველაზე პრიორიტეტული)
რეგიონებში დაბალი ხარისხის ინტერნეტი.	2.38 (ნაკლებად პრიორიტეტული)
სექტორულ საჭიროებებზე მორგებული საოფისე სივრცეების ნაკლებობა.	2.66
საქართველოს, როგორც ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის ბრენდის ხედვის ნაკლებობა, MNC კომპანიების მიერ.	3.61

ICT

გამოწვევა	ქულა
კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.	4.3 (ყველაზე პრიორიტეტული)
სახელმწიფო შესყიდვების როლი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარებაში.	3.7
მორგებული დაფინანსების შესაძლებლობების ნაკლებობა.	3.8
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში ქალთა ჩართულობის დაბალი დონე.	3.5 (ნაკლებად პრიორიტეტული)
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში კოორდინაციის ნაკლებობა. (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარებასთან დაკავშირებული ხედვის არარსებობა).	4.1
საქართველოს კერძო სექტორის ცნობიერების ნაკლებობა დიגיტალიზაციისა და ინოვაციების მნიშვნელობის შესახებ.	4.1

ელ. კომერცია

გამოწვევა	ქულა
არასრულყოფილი მარეგულირებელი ჩარჩო და ელექტრონული კომერციის შესახებ კანონის არარსებობა.	3.56
ბიზნესებისთვის სერვისების ერთობლივად მიწოდების შესაძლებლობა.	3.57 (ყველაზე პრიორიტეტული)